პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA -ის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრები:
ზაირა ბერიძე
ბექარ კილასონია
თამილა გრძელიშვილი
ნანა ვერულაშვილი
გიული გურგენიძე
ხათუნა წერეთელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

საიდენტიფიკაციო კოდი: 245445004

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☒ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის № MES 1 25 0000173765 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 18,19,20 მარტს შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA - ში (მის: საქართველო, ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის 67) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე.

კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საექთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული)	ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 67, 6010
ფარმაცია(სააფთიაქო)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული)	ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 67, 6010
აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული)	ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 67, 6010
ბუღალტრული აღრიცხვა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული)	ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 67, 6010
საფინანსო სერვისები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული)	ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 67, 6010

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	*60*	*2022 წლის მიღება - 17* *2023 წლის მიღება - 17* *2024 წლის მიღება - 18*	*1*	*2019 წელს - 3;* *2020 წელს - 1;* *2021 წელს - 4;* *2022 წელს - 4;* *2023 წელს - 1;*
ფარმაცია (სააფთიაქო)	*40*	*2023 წლის მიღება - 18* *2024 წლის მიღება - 18*	*0*	*2019 წელს - 2;* *2020 წელს - 2;* *2021 წელს - 2;* *2022 წელს - 1;* *2023 წელს - 4;*
ბუღალტრული აღრიცხვა	*40*	*2023 წლის მიღება - 15*	*4*	*2019 წელს - 2;* *2020 წელს - 3;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		2024 წლის მიღება - 15		*2021 წელს - 6 (გარე მობილობით გადმოსული და შემდეგ ისევ უკან დაბრუნდნენ); 2023 წელს - 4;*
აღმზრდელი	*40*	*2024 წლის მიღება - 21*	*0*	*2022 წლის მიღება - 7;*
საფინანსო სერვისები	*24*	*2024 წლის მიღება - 21*	*1*	*2019 წელს - 6; 2021 წელს - 2; 2022 წელს - 3; 2023 წელს - 4;*

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯში არსებობს წარმატებული პრაქტიკა პროფესიული პროფორიენტაციის მიმართულებით. კოლეჯი სისტემურად ახორციელებს პროფესიული პროფორიენტაციის აქტივობებს სკოლებში და პროცესში, რომელშიც აქტიურად რთავს საკუთარ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს. სტუდენტების/კურსდამთავრებულების უშუალო მონაწილეობა პროფორიენტაციის პროცესში აუმჯობესებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, ზრდის პროფესიული განათლების მიმართ ინტერესს, სანდოობას და აყალიბებს კოლეჯის თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ იმიჯს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც კოლეჯის ცნობადობის ზრდას რეგიონში, ასევე სკოლის მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

გადაჭრილად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს კოლეჯის პოზიტიურ მხარეს, რის გამოც მიზანშეწონილაად ჩავთვალეთ, ექსპერტთა მიერ გამოიკვეთოს იგი როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბუღალტრული აღრიცხვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საექთნო განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ფარმაცია(სააფთიაქო)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საფინანსო სერვისები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
აღმზრდელი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორი მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.2.3.3 ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი ახორციელებს გარკვეულ საიმიჯო და ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმოს უფრო მასშტაბური საინფორმაციო და საიმიჯო კამპანია ცნობადობის გაზრდის მიზნით. და რეგიონში არსებული კონკურენციის პირობებში კოლეჯის ძლიერ მხარეთა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების წარმოსაჩენად. რეგიონის პროფესიული საგანმანათლებლო ბაზარზე აქტიურად მოქმედებენ სხვა კოლეჯები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც ზრდის საჭიროებას, რომ კოლეჯმა უფრო ინტენსიურად იმუშაოს საკუთარი იმიჯისა და შეთავაზებების კომუნიკაციაზე. მიზანშეწონილია სისტემურად გაიმართოს სხვადასხვა უფრო მასშტაბური ღონისძიებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებები, ასევე გაძლიერდეს მედიასთან და სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობა. არსებული წარმატებული პრაქტიკების შენარჩუნების პარალელურად, კიდევ უფრო გააძლიეროს ცნობადობის ამაღლებისა და იმიჯის განმტკიცების ღონისძიებები, გააფართოოს პარტნიორული თანამშრომლობები და გააძლიეროს კომუნიკაცია როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე, კონკურენტუნარიანობისა და განვითარების ხელშესაწყობად. ასეთი ნაბიჯები გაუმჯობესებს კოლეჯის პოზიციონირებას როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე შესაძლო ეროვნულ დონეზეც და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოზიდვასა და კოლეჯის განვითარებას.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტებს მოაწოდა ინფორმაცია(წერილი N MES 1 25 0000460036 30/04/2025) ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის *მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შესახებ. კოლეჯი დირექტორის მიერ ხელმოწერილი წერილით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადასტურებს რომ გაეცნო წარმოდგენილ დასკვნის პროექტს და ეთანხმება რეკომენდაციას. აღნიშნული წერილის შემდგომ ექსპერტებს დასკვნის დოკუმენტში ცვლილება არ შეუტანიათ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.** კერძოდ: პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ, შპს „ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია“ (BPA) წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო სექტორთან, ისე კერძო ბიზნესთან, რათა სტუდენტებს უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება და დასაქმების საუკეთესო შესაძლებლობები. BPA-ს მისია ეხმიანება პროფესიული განათლების რამდენიმე მიზანს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლეჯის მისიაა მრავალპროფილური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, რაც შეესაბამება პროფესიული განათლების პირველ მიზანს — ყველასთვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას.

მისიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების ხელშეწყობას მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც თანხვედრაშია პროფესიული განათლების მესამე მიზანთან — უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებასთან.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.** კერძოდ: დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორიცაა, მაგალითად: საექთნო განათლება, აღმზრდელი, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა. პროგრამების დამატება ხდება რეგიონის შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად. პროფესიული პროგრამების ფარგლებში, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორთან რეგიონში.

ვიზიტის დროს ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც პროფესიული განათლების ფარგლებში თანამშრომლობენ კოლეჯთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მისია არის მოტივაციის გამაძლიერებელი და ხაზს უსვამს ორგანიზაციის იდენტობას.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია“ (BPA) გამოირჩევა კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სტანდარტების დაცვას, ოპერატიულობასა და საქმიანობის გამჭვირვალობას.

ვიზიტის დროს განსაკუთრებულად თვალშისაცემი იყო მიმდინარე პროცესების ორგანიზებულობა, რაც გამოიხატა დოკუმენტაციის დროულად მოწოდებასა და ინფორმაციის ზუსტ ადმინისტრირებაში. ადმინისტრაციული გუნდი გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით, თავაზიანობითა და პროფესიონალიზმით. მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად და დროულად იყო წარმოდგენილი. ყველა ადმინისტრაციული დოკუმენტი მოწესრიგებული და ვიზუალურად სწორად გაფორმებული იყო, წარმოებული კოლეჯის საქმისწარმოების წესებში გაწერილი რეგულაციების შესაბამისად, რაც მიუთითებს დაწესებულების შიდა მართვის მაღალი კულტურის არსებობაზე.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროცესების გამჭვირვალობასა და თანამშრომლობის კულტურას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალისთვის კომფორტული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

BPA-ის ადმინისტრაციის ორგანიზებულობა და დროის ეფექტური მენეჯმენტი ნათლად ადასტურებს დაწესებულების მზაობას, სტუდენტებსა და პარტნიორებს უზრუნველყოს პროფესიული განათლების საუკეთესო გამოცდილება.
ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.** კერძოდ: ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის (BPA) მისია, ხედვა და ღირებულებები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ქმნის ერთიან, თანმიმდევრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიულ ჩარჩოს. მისია ასახავს აკადემიის ძირითად საქმიანობას: მრავალპროფილური პროფესიული განათლების შეთავაზებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერას. ხედვა კი წარმოადგენს ამ მიზნების განვითარებულ და გაფართოებულ ვერსიას.

მისია ხაზს უსვამს პროფესიული განათლების მიწოდებასა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებას, ხოლო ხედვაში აღნიშნულია, რომ ეს პროცესები უნდა ხორციელდებოდეს თანამედროვე, კომფორტულ და ადაპტირებულ სასწავლო გარემოში. მისიაში გაწერილია თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ხოლო ხედვაში ხაზგასმულია, რომ აკადემიას უნდა ჰქონდეს ძლიერი რეპუტაცია რეგიონში — რაც წარმატებული პარტნიორობისა და ხარისხიანი განათლების შედეგია. მისია ასევე საუბრობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე, ხოლო ხედვაში მითითებულია, რომ აკადემია ინარჩუნებს თანაბარ შესაძლებლობებზე ორიენტირებულ გარემოს.

მისიის სტრუქტურა სრულად შეესაბამება აკადემიის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს:
თანაბარი შესაძლებლობები – აღნიშნული პრინციპი პირდაპირ აისახება მისიაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე.
სოციალური პასუხისმგებლობა – მისიის მიხედვით, აკადემია ხელს უწყობს საზოგადოების მდგრად განვითარებას, რაც ღირებულებებს შორის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპთანაა თანხვედრაში.
გამჭვირვალობა და ღიაობა – აკადემიის თანამშრომლობა სხვადასხვა სექტორთან მოიცავს პროცესების გახსნილობასა და ანგარიშვალდებულებას.
აკადემიის ხედვა და ღირებულებები ერთობლივად ქმნის სრულყოფილ ჩარჩოს:
განვითარებაზე ორიენტირებულობა – ხედვაში ხაზგასმულია მუდმივი ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება, მაღალკვალიფიციური პერსონალის შენარჩუნება და სტუდენტთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდა.
ფინანსური მდგრადობა – ხედვაში აღნიშნულია ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც აკადემიის ავტონომიურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
რეგიონში რეპუტაციის შენარჩუნება – ეს ღირებულება უშუალოდ უკავშირდება გამჭვირვალობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას.

შესაბამისად, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის (BPA) მისია, ხედვა და ღირებულებები ჰარმონიულად არის ურთიერთდაკავშირებული. მისია განსაზღვრავს ძირითად ფუნქციებსა და პრიორიტეტებს, ხედვა — მათი განვითარების სტრატეგიას, ხოლო ღირებულებები — ამ პროცესების საფუძველსა და პრინციპებს. აღნიშნული თანხვედრა უზრუნველყოფს აკადემიის სტაბილურ განვითარებას და უწყობს ხელს მის პოზიციონირებას, როგორც თანამედროვე და მოთხოვნად საგანმანათლებლო სივრცეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.** კერძოდ: **შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია (BPA)** თავისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებით უზრუნველყოფს ღირებულებითი სისტემის სტაბილურობას და უწყობს ხელს აკადემიის სწორი მიმართულებით განვითარებას. BPA-ს მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი კოლეჯის ვებგვერდზე: https://bpa.ge/about/misia. ღირებულებების ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი გზა არის ინფორმაციის ფიზიკური ფორმით გამოქვეყნება: მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია კოლეჯის შენობაში, რათა ყველა დაინტერესებულ პირს — პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს — შეეძლოთ თავისუფლად გაეცნონ ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას. BPA-ში მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, რაც ხელს უწყობს საერთო მიზნის სწორად გაგებასა და ერთიანობის ფორმირებას. ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესებში ხაზს უსვამს კოლეჯის მიერ ღირებულებების ეფექტიან იმპლემენტაციას — როგორც ორგანიზაციის შიდა კულტურაში, ისე გარე ურთიერთობების მართვაში.

5. **ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება #01-01 დამტკიცებული " სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია"
- BPA-ს **მისია, ხედვა და ღირებულებები (https://bpa.ge/about/misia)** .
- იხ. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა https://www.bpa.ge/images/str27.pdf
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა https://www.bpa.ge/images/2024g.pdf
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში
- 2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში (პროექტი)
- 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (პროექტი)
- ვიზუალური დათვალიერებით
- გასაუბრებით
-

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.** კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება #01-01 განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას. მისი მე-8 მუხლი ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;
- დოკუმენტების გაზიარება;
- საჯაროობის უზრუნველყოფა.

დამტკიცებული დოკუმენტები განხილული იქნა გაფართოებულ თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე და საბოლოო ვერსია განთავსდა აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-9 მუხლი განსაზღვრავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფართო გავრცელებას:

- ტარდება ღონისძიებები, სადაც მოწვეულნი არიან ყველა დაინტერესებული მხარე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრეზენტაციების საშუალებით ხდება ინფორმაციის გაზიარება;
- მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და კოლეჯის შენობაში;
- ინფორმაცია გამოქვეყნებულია კატალოგებსა და ბროშურებში.

კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარების და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. არსებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს ექვს სტრატეგიულ მიზანს, რომელთა განხორციელებისთვის განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, ვადები, ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები.

სტრატეგიული განვითარების შუალედური შეფასება განხორციელდა დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რის შედეგადაც დოკუმენტში შეტანილ იქნა მცირედი ცვლილებები. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის კორექტირებაც, ხოლო მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით: შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა და გავლენა.

- **მონაწილეობითი მიდგომა:** სტრატეგიული პროცესებში ჩართულია სამუშაო ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ მიდგომას.
- **გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა:** ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და კოლეჯის სივრცეში, რაც ზრდის დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
- **ინკლუზიურობა:** სხვადასხვა ღონისძიებებისა და შეხვედრების მეშვეობით უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების ჩართულობა.
- **გრძელვადიანი სტაბილურობა:** სტრატეგიული გეგმის გამჭვირვალე დაგეგმვა და შეფასება უზრუნველყოფს კოლეჯის მდგრად განვითარებას.
- **შინაგანი კულტურის გაძლიერება:** დოკუმენტების საჯაროობა და მათი პრაქტიკაში დანერგვა აძლიერებს ერთიან ორგანიზაციულ კულტურას.

შედეგად, აღნიშნული მიდგომები სრულად შეესაბამება ექსპერტის შეფასების ინდიკატორებს, უზრუნველყოფს კოლეჯის სტრატეგიული მიზნების ეფექტიან განხორციელებას და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.** კერძოდ: დაწესებულებას გათავისებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რის საპასუხოდ იგი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას იყენებს მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ხოლო ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს ადგენს განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიისა და რეგიონის საჭიროებების საფუძველზე, რაც დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. გასაუბრება შედგა როგორც დაწესებულების დირექტორთან, ასევე სხვა აკადემიის სხვა წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციები, პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროფორიენტაციის მენეჯერი, დირექტორთან კოორდინაციით, ორგანიზებას უწევს საჯარო დისკუსიას, სადაც პრეზენტაციის სახით წარადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც შემუშავებულია დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. უკუკავშირის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მუშავდება და საბოლოო დოკუმენტი ფორმირდება.
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი. გეგმის პროექტი საჯაროდ განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წინადადებების/მოსაზრებების წარდგენა. მიღებული კომენტარები გადამუშავდება, რის შემდეგაც გეგმა საბოლოოდ დამტკიცდება და გავრცელდება.
ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.
როგორც აღვნიშნეთ კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დირექტორის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება #01-10-ის შესაბამისად. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2020-2026) მოიცავს ექვს ძირითად მიზანს:

- **სტრატეგიული მიზანი 1** – ორგანიზაციული განვითარება
- **სტრატეგიული მიზანი 2** – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
- **სტრატეგიული მიზანი 3** – მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება
- **სტრატეგიული მიზანი 4** – პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა
- **სტრატეგიული მიზანი 5** – უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები
- **სტრატეგიული მიზანი 6** – კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და საერთაშორისო თანამშრომლობა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარეობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპებით:

- სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
- სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- პროექტის გაზიარება და განხილვა;
- სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- ჩართული მხარეების ინფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო გეგმაში თითოეული ამოცანისთვის განსაზღვრულია:

- განსახორციელებელი აქტივობები;
- შესრულების ვადები;
- შესრულების ინდიკატორები;
- პასუხისმგებელი პირები;
- საჭირო რესურსები/ბიუჯეტი;
- შესაძლო რისკები და მათი შეფასება.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და განსახორციელებელი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები რაც უზრუნველყოფს მის მოქნილობას არსებული გამოწვევების მიმართ.

ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება #01-01 დამტკიცებული " სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია"
- BPA-ს **მისია, ხედვა და ღირებულებები** (https://bpa.ge/about/misia) .
- იხ. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა https://www.bpa.ge/images/str27.pdf
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა https://www.bpa.ge/images/2024g.pdf
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში
- 2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში (პროექტი)
- 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (პროექტი)
- გასაუბრებით

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის მიერ, რომელიც გამოიყენებს დაწესებულების მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და პროცესის მონიტორინგის სრულყოფილ სისტემას. აღნიშნული პროცესი დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე მიმდინარეობს, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი.

მონიტორინგი და შეფასება მოიცავს:

1. **გეგმური მიზნების შესრულების შეფასება**: ხარისხის მართვის მენეჯერი აკვირდება სტრატეგიული განვითარების გეგმის მიერ განსაზღვრული მიზნების შესრულებას და ეფექტურობას, რაც ეხმარება აკადემიას სწორად გაიაზროს, რამდენად მიაღწია მას წარმატებას წინასწარ დადგენილი მიზნებისთვის.

2. **ეფექტურობის ანალიზი**: ყველა საკვანძო მაჩვენებელი შეფასდება, რათა დადგინდეს, რამდენად ეფექტურად ხდება აკადემიის მიზნების შესრულება. ასეთ შეფასებებს დაექვემდებარება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები.

3. **დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება**: ყველა შესაბამისი ჯგუფის (სტუდენტების, თანამშრომლების, პარტნიორების) უკუკავშირი ინტეგრირდება პროცესში, რათა შეფასება და საჭიროება მაქსიმალურად გათვალისწინებულ იყოს რეალური საქმიანობისა და გამოცდილებების მიხედვით.

შედეგების ანალიზი: ხარისხის მართვის მენეჯერი აგროვებს, აანალიზებს და აერთიანებს თითოეულ მონიტორინგის შედეგებს, რის შედეგადაც წარმოადგენს დეტალურ ანგარს.

შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული მიზნები ან სამოქმედო გეგმა გადაიხედოს. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია შეიქმნას თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც გამოიკვლევს დაგეგმილი ცვლილებების საჭიროებას და შესაბამისი მოსაზრებებს წარადგენს განსახილველად და დასამტკიცებლად.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი სრული შესაბამისობაშია ინდიკატორი მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. კერძოდ: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განიხილება გაერთიანებულ სხდომაზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების განხილვისას ამავდროულად ფასდება აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მუშაობა რომელზეც შემდგომ გავრცელდება წამახალისებელი და სტიმულირების აქტივობები აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. პერსონალის სხდომაზე მიიღება გადაწყვეტილება პროცესის გაუმჯობესების, რეკომენდაციებისა და წინადადების გაზიარების თაობაზე. ამავე სხდომაზე განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას.

ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია. კერძოდ: დაწესებულების სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშით;
- სამოქმედო გეგმების ანგარიშებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშებით;
- თვითშეფასების და სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.** კერძოდ: კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას. მათ შორისაა:

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ეთიკის კოდექსი“
- „ბიბლიოთეკის დებულება“

სტუდენტს აქვს სრული უფლება მიიღოს მის ინტერესებზე მორგებული, ხარისხიანი პროფესიული განათლება და აქტიურად იყოს ჩართული როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. კოლეჯის შიდა რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტისთვის გარანტირებულია შემდეგი უფლებები:

- მოითხოვოს, რომ კოლეჯის ადმინისტრაციამ სრულად შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობით, შიდა რეგულაციებითა და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით;
- მიიღოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებებსა და პროფესიულ განვითარებას;
- ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და სხვა სასწავლო საშუალებებით;
- დააფუძნოს ან გაწევრიანდეს სხვადასხვა პროფესიულ და სტუდენტურ ორგანიზაციებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სარგებლოს პროფესიული მობილობის უფლებით;
- სასწავლო სტანდარტების ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა ან ისარგებლოს მობილობის შესაძლებლობით;
- დისციპლინური პროცედურები განხორციელდეს სამართლიანად და პროპორციულად;
- გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლოს გზით;
- მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია თავისი უფლებებისა და პროგრამების შესახებ;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და ჩაერთოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში;
- იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე;
- მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის შეფასებაში და, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს არსებული დარღვევები.

კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ დაცული და გამჭვირვალე სასწავლო გარემო, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ კარიერულ გზას.

დაცული და გამჭვირვალე სასწავლო გარემო, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ კარიერულ გზას.

სტუდენტებთან ექსპერტების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პოზიტიური შეფასებები:

- სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების და ინტერესების გამოხატვა.
- აღნიშნეს, რომ კოლეჯი რეალურად უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასწავლო რესურსებზე (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა).
- დააფიქსირეს, რომ შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას კონკრეტული პრობლემის ან საჭიროების შემთხვევაში და მიიღონ დროული რეაგირება.
- განაცხადეს, რომ იცნობენ თავიანთ უფლებებს, რაც განპირობებულია შიდა რეგულაციების ხელმისაწვდომობითა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებით.
- სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს დისციპლინური პოლიტიკის სამართლიანობა და გამჭვირვალობა.
- ხაზი გაუსვეს იმ გარემოს უსაფრთხოებასა და მხარდაჭერას, რაც მათ მისცემს მოტივაციას და განავითარებს პროფესიულ უნარებს.
- გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის ცხოვრებაში და მათ ეძლევათ თვითგამოხატვისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სამართლებრივი სტატუსის, უფლებებისა და ინტერესების დაცვას როგორც დოკუმენტური რეგულაციებით, ასევე პრაქტიკული მეთოდებით. დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სისტემური მიდგომა, რომელიც ყველა ეტაპზე უწყობს ხელს სტუდენტის ინფორმირებულობასა და მისი უფლებების დაცვას.

ხელშეკრულების გაფორმების პროცესი და ინფორმირების მექანიზმები:

- **ხელშეკრულების გაფორმებამდე, სტუდენტებს გადაეცემათ სპეციალური გზამკვლევი**, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მარეგულირებელ დოკუმენტს და შესაბამის ბმულებს, რაც უზრუნველყოფს მათ წინასწარ გაცნობას კოლეჯის შიდა წესებთან.
- **ადმინისტრაციის წარმომადგენლები პირადად განუმარტავენ(კომპეტენციის ფარგლებში)** სტუდენტებს დებულებების ძირითად ასპექტებს, რათა მათ სრულად გაიაზრონ დოკუმენტების შინაარსი და პირობები.
- ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთან (მათ შორის არასრულწლოვანთან) დეტალურად ასახავს მის უფლებებსა და კანონით დადგენილ გარანტიებს. ხელშეკრულების ხელმოწერის გზით, სტუდენტი ადასტურებს, რომ სრულად იცნობს და ეთანხმება კოლეჯის წესებსა და რეგულაციებს.
- გაცნობითი შეხვედრების ფარგლებში, სტუდენტებს წარუდგენენ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა ასპექტში განახორციელებენ მათ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ გასაჩივრების მექანიზმით.

დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით, მათი აქტიური ჩართულობითა და მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

ექსპერტებთან გასაუბრების დროს სტუდენტებმა:

- დაადასტურეს, რომ ფლობენ სრულ ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ;
- ხაზი გაუსვეს, რომ გაცნობითი პროცესიდანვე ზუსტად იციან ვის უნდა მიმართონ პრობლემის შემთხვევაში;
- აღნიშნეს, რომ ხელმისაწვდომია დოკუმენტაცია ვებგვერდზე და საჭიროების შემთხვევაში ადგილზეც ეცნობიან;
- დადებითად შეაფასეს ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის გამჭვირვალობა და მხარდაჭერა;
- აღნიშნეს, რომ აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში.

აღნიშნული პრაქტიკები აჩვენებს, რომ კოლეჯი სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორთან და მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას, ინფორმირებულობასა და უსაფრთხო, სამართლიან სასწავლო გარემოს.

ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ***პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის,*** ასევე იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, შეფასების სისტემის შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე, შემდეგ ყოველი მოდულის დაწყებისას. ყველა პროფესიული მასწავლებელი მოდულის დაწყებისას აწოდებს ინფორმაციას თუ როგორ განხორციელდება შეფასება. ასევე აცნობს დასადასტურებელი შედეგის მინიმალურ მოთხოვნებს გადაბარების და აპელაციის პირობებს. კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკაა რომ პროფესიული მასწავლებელი შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა მეილის საშუალებით აწვდის პროფესიულ სტუდენტს შემდეგ ინფორმაციას: მოდულის დასახელება, შედეგის დასახელება, შეფასების განხორციელების დრო და ადგილი. გამჭვირვალობისათვის თითოეულ შეფასების ინსტრუმენტში ჩაშენებულია გრაფა დადებითი შეფასების მინიმალური მოთხოვნები, გადაბარების და აპელაციის პირობები. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესის გამოყენება პრაქტიკულად არ მომხდარა, არ დამდგარა ამისი საჭიროება. პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. კერძოდ:** დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში აკადემია ხელშეკრულებას აფორმებს სტუდენტის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან , შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ. ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით ***სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც ნათლადაა გაწერილი მათ უფლებები და კანონიერი ინტერესები.***

ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: აკადემიას დირექტორის 17.10.2024 წლის ბრძ. # 01-51 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 43 გაწერილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: ა) პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება; ბ) პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს; გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით; დ) ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში; ე)მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან დგება ამის საჭიროება კონკრეტულ შემთხვევებში. შესაძლებელია გარკვეულ მონაკვეთზე პროფესიულ სტუდენტს არ დასჭირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ამის საჭიროება გამოიკვეთოს მოგვიანებით, რომლის შემთხვევაში განსაზღვრული წესების დაცვით განხორციელდება მოქმედება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/პროგრამას ამტკიცებს აკადემიას დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინებით. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად. დამტკიცებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის/პროგრამის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხოლო პროცესზე მონიტორინგს ხარისხის მართვის მენეჯერი. აკადემიაში მხოლოდ ერთხელ გახდა საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, 2023 წლის ნოემბერში პროგრამა აღმზრდელზე გარე მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის, რომლებმაც შექმნეს ცალკე ჯგუფი და მათთვის გაიწერა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ექსპერტებმა შეისწავლეს არსებული შემთხვევა და მობილობა და ინდივიდუალური გეგმა შემუშავდა რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით(ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაციით) ;*
- *2023 წლის 24 ნოემბრის დირექტორის ბრძ .# 01 -56 დამტკიცებული ინდივიდუალი სასწავლო გეგმით*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.** კერძოდ:

BPA-ს აკადემიური პროცესების გაუმჯობესებისთვის შემუშავებული სისტემები და მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრულ უფლებას მიიღონ სათანადო კონსულტაციები და დახმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის. **დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია** ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“, „პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“. ეს დოკუმენტები განსაზღვრავს სტუდენტთა უფლებებს და მოვალეობებს, რომელთა შესაბამისად, თითოეული სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა რეგულირებას.

სტუდენტების ჩართულობა აკადემიურ პროცესში:

- სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პროცესებში, რათა შევიქმნათ მათთვის ხელსაყრელი სასწავლო პირობები.
- **კოლეჯი ახალ პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს ეგრეთწოდებულ “ველქომ ფართის” პროგრამას**, რომელიც ხელს უწყობს მათ ადრეულ ეტაპზე გაეცნონ კოლეჯის გარემო, პროგრამის განმახორციელებელი პირები და ერთმანეთი.
- კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს **გზამკვლევებით**, რომლებიც ეხმარება მათ ადვილად გაერკვნენ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესებში. სტუდენტები ეცნობიან თუ როგორ მიიღონ საჭირო დახმარება და როგორ გამოიყენონ კოლეჯის რესურსები სწავლის დაწყების ეტაპზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტები იღებენ **კონსულტაციებსა და დახმარებას კოლეჯის ადმინისტრაციისგან**, რაც მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში ეხმარება. ეს კონსულტაციები მოიცავს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ საკითხებს და ეფუძნება სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს.
- სტუდენტებს აქვთ **უფლება გამოიყენონ კოლეჯის მატერიალური და ტექნიკური რესურსები** (ბიბლიოთეკა, სასწავლო საშუალებები და სხვა). ეს რესურსები ხელს უწყობს მათ ცოდნის გაღრმავებას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- პროფესიულ სტუდენტებს აქვთ **უფლება შექმნან საკუთარი სტუდენტური ორგანიზაციები** ან გაწევრიანდნენ უკვე არსებულებში, რათა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. კოლეჯი ასევე ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში.
- სტუდენტებს აქვთ **უფლება აქვს განახორციელოს პროფესიული მობილობა**, მიიღონ სრული ინფორმაცია თავიანთი სწავლის პროცესის შესახებ და გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მათ შესახებ მიიღება კოლეჯში. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაში, რაც მათ საშუალებას აძლევს აირჩიონ სწავლების ისეთი მოდულები, რომლებიც შეესაბამება მათ ინტერესებსა და საჭიროებებს.

შესაბამისად, BPA-ის პროფესიული სტუდენტები იღებენ **სისტემურ და ეფექტურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას**, რაც მათ აკადემიურ მიღწევებსა და პროფესიულ განვითარებაში ეხმარება. სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ და შეუძლიათ მიიღონ მაქსიმალური დახმარება სასწავლო პროცესში. ველკომ პარტი და გზამკვლევები კი **ახალ სტუდენტებს** ეხმარება ადვილად გაეცნონ კოლეჯის სტრუქტურას, პროცესებს და რესურსებს, რაც ხელს უწყობს მათ წარმატებულ სწავლას.

ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტებს აცნობს აკადემიის სერვისებს და ინფრასტრუქტურას, ვებ-გვერდსა და ფეისბუქ-გვერდს. აგრეთვე ეცნობიან აკადემიის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტებს, აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უტარებს ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს.

ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს აკადემიის ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლებასთან, მობილობასთან, ცნობის მოთხოვნასთან, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით, ისარგებლოს კონსულტაციით ან დაწეროს განცხადება, რასაც ეძლევა შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მსვლელობა. ადმინისტრაციული სერვისები რეგულირდება კოლეჯში დადგენილი/გაწერილი პროცედურების/ვადების შესაბამისად. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოთხოვნის ადმინისტრირება საჭიროებს გარკვეულ დროს. ეს უკანასკნელი არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პერიოდს; პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია აკადემიას საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე და პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად. მათ განაცხადეს რომ აქვთ ინტენსიური კომუნიკაცია შესაბამის სამსახურებთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო თუ ინტერნეტ კომუნიკაციითაც და ამ მხრივ არავითარი პრობლემა ან შეფერხება არ შექმნიათ. პროფესიული სტუდენტები მხარდაჭერის სერვისებს აფასებენ დადებითად.

ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამისობაშია

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ: დაწესებულება ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება დაწესებულების მიზნებსა და საქმიანობის სფეროს; ისინი გეგმავენ აქტივობებს, გამოყოფენ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის - ღონისძიების მომწყობს - რომელიც ინიციატივის საფუძველზე ათანხმებს ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს. განსახორციელებელ ღონისძიებას აანონსებენ აკადემიის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ (ფეისბუქ) გვერდზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ვებგვერდი, ფეისბუქგვერდი, სხვადასხვა ჩანაწერები, ანგარიშები და დოკუმენტები (ფოტო მასალა) განხორციელებული აქტივობებისა პროექტების შესახებ, რითიც დადასტურდა ზემოაღნიშნული.

ინდიკატორი 3.2.1.4. შესაბამისობაშია

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. *კერძოდ: ქმნის კითხვარებს, აანალიზებს მათ და შესაბამისად რეაგირებს.* დაწესებულება სტუდენტისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, გეგმის შესაბამისად, წლის განმავლობაში ორჯერ, ტარდება სტუდენტთა საჭიროების / კმაყოფილების კვლევა, ყველა ჯგუფში. პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან და შემდეგ შესაბამისად რეაგირებს მათზე. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა ზემოაღნიშნული კითხვარები, მათი შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტები და ანგარიშები, რომლებშიც გაწერილია შესაბამისი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით აუმჯობესებს მომსახურეობას. მაგალითად 2022 წლის დეკემბერის კვლევაში გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტების უმრავლესობა ითხოვდა სპორტულ ღონისძიებების ჩატარებას. შესაბამისად 2023 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაიწერა მინიმუმ ერთი სპორტული ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად კოლეჯმა დაიწყო აქტიური მუშაობა მოიძია ორგანიზაცია რომელიც დაორგანიზებდა მინი ფეხბურთის ჩატარებას. კოლეჯის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 12-17 მაის შპს ,,ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA" და შპს ,,ეკვატორს" შორის ჩატარდა ბათუმის შიგა პირველობა მინი ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ოთხმა გუნდმა. ჩატარდა ექვსი თამაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდება შპს ,,ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA" და შპს ,,ეკვატორი".

ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგებით;*
- *ჩანაწერები განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.*
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;

ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევებით და ანგარიშებით.

- ვებ გვერდზე განთავსებული სტუდენტური აქტივობების ფოტომასალით

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ***დაწესებულებაში კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;*** აკადემიაში, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს კურირებას საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროფორიენტაციის მენეჯერი. დაწესებულება სხვადასხვა ღონისძიებებით/აქტივობებით ახდენს არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პოტენციური სეგმენტისათვის, ტარდება შეხვედრები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხდება სოციალური გვერდისა და დაწესებულების ვებგვერდს საშუალებით. დაწესებულებამ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ვიზიტის დროს ექსპერტებს საშუალება ქონდათ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების. გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ როგორც პროფესიული სტუდენტები სწავლის პროცესში, ასევე კურსდამთავრებულებიც იღებენ შესაბამის მხარდამჭერ სერვისებს დაწესებულების მხრიდან, როგორიცაა მაგალითად დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება კურსადმთავრებულებისათვის. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ დაწესებულების მხარდაჭერით ისინი დასაქმებულები არიან პროფესიის შესაბამისად, მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

ინდიკატორი 3.2.2.1. შესაბამისობაშია

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ:

დაწესებულება მუდმივად კომუნიკაციაშია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან, რაც საშუალებას იძლევა სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაცია მიაწოდონ ვაკანსიების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. დაწესებულება აგროვებს ინფორმაციას და ანახლებს **დამსაქმებლების ვაკანსიების მონაცემთა ბაზას**, რომელიც უახლეს და აქტუალურ ინფორმაციას შეიცავს.

დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს ერთობლივ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია როგორც სტუდენტთა, ისე კურსდამთავრებულთა ხელშეწყობისკენ. ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს მათ უკეთეს დასაქმების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს მათი კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარების გაძლიერებას.

აკადემიის აღნიშნული ბაზები და ორგანიზებული ღონისძიებები ამარტივებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას, რაც საგრძნობლად ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ინტენსივობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები როგორც დამსაქმებლებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. გასაუბრების შედეგად დადასტურდა მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობა აკადემიასა და დამსაქმებლებს შორის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც მკაფიოდ მიუთითებს დასაქმების პროცესში დაწესებულების აქტიურ როლზე და სტუდენტების მხარდასაჭერად განხორციელებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მხარდაჭერა და მათი კარიერული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა არის აკადემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც აქტიურად ახორციელებს მოლაპარაკებები დამსაქმებლებთან და პერიოდულად განახლებადი მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

ინდიკატორი 3.2.2.2. შესაბამისობაშია

3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. კერძოდ:** ხარისხის მართვის მენეჯერი წელიწადში ორჯერ ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებით, ხოლო კურსდამთავრებულებთან – 6 თვიდან ერთ წლამდე. კვლევა ეფუძნება შემუშავებულ მონიტორინგის მეთოდიკას, რომელიც შეიცავს სხვადასხვა საკითხს:

- იმ მონაცემების შეგროვება, რომლებიც სრულად აღწერს საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მათ შორის სპეციალობების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის ეფექტურობის კვლევა, ინდიკატორების შემუშავება და გამოთვლა, რომლებიც აფასებენ შედეგიანობას და ოპერატიულობას;
- პოტენციური დამსაქმებლების წრის განსაზღვრა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის ორგანიზების ხარისხის კვლევა;
- სტუდენტთა კარიერული პრეფერენციების განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ანალიზი.

როგორც ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი, დაწესებულება სისტემატიურად ატარებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევას. სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევისათვის იყენებს სატელეფონო ინტერვიუს ფორმას. დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის შედეგები და შესაბამისი მაჩვენებლები.

კოლეჯი ასევე მეორე წელია მონაწილეობს დასაქმების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა კვლევაში , სადაც გამოიკვეთა დასაქმების საკმაოდ კარგი მაჩვენებელი, აღნიშნულ შედეგებსაც კოლეჯი იყენებს საქმიანობის უკვე დაგეგმვაში.

ინდიკატორი 3.2.2.3. შესაბამისობაშია

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.** კერძოდ: დაწესებულებაში სისტემატურად ხდება კარიერული მომსახურების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, რაც ხდება როგორც პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან რეგულარული კომუნიკაციის გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კარიერული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ხდება უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კარიერული მომსახურების შეფასების ანკეტები, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე მიღებულია კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები. მათ შორის:

კოლეჯში დანერგილია კარიერული კონსულტაციის სერვისები;

აქტიურად მიმდინარეობს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება;

გაიზარდა დამსაქმებლებთან თანამშრომლობით დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა;

ინტერვიუების დროს როგორც სტუდენტებმა, ასევე ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე რეალურად იგეგმება და ხორციელდება ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სერვისების ეფექტიანობასა და სტუდენტთა კმაყოფილების ზრდას.

ინდიკატორი 3.2.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;*
- *შემუშავებული კითხვარებით და შესაბამისი ანგარიშებით*
- *ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდსა და სოც. ქსელშიც.;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.*
- *შემუშავებული კითხვარებით და შესაბამისი ანგარიშებით*
- *ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდსა და სოც. ქსელშიც.;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.*
- *შემუშავებული კითხვარებით და შესაბამისი ანგარიშებით*
- *ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდსა და სოც. ქსელშიც.;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.**ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.** კერძოდ: პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით რეგულირდება. კოლეჯის სტრუქტურა ეფუძნება საქმიანობის ფუნქციონალურ და იერარქიულ დაყოფას, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას.

კოლეჯის მმართველი სუბიექტებია:

- პარტნიორთა საერთო კრება;
- დირექტორი;

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი მოიცავს შემდეგ პოზიციებს:

- ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალისტი;
- პროგრამის ხელმძღვანელი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ფინანსური მენეჯერი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროფორიენტაციის მენეჯერი;
- მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- ექთანი;
- დაცვის თანამშრომელი;
- დამხმარე პერსონალი.

კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ დეკლარირებული მისიის, მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტურ რეალიზებას. მათი საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებებითა და სამუშაო აღწერილობებით, რომლებიც თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ზონებს, ფუნქციურ დატვირთვასა და ანგარიშვალდებულებას განსაზღვრავს.

გარდა ამისა, კოლეჯის ხელმძღვანელი უფლებამოსილია საჭიროებიდან გამომდინარე, შექმნას დამატებითი სტრუქტურული ერთეულები და მოიწვიოს სპეციალისტები/ექსპერტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული მენეჯმენტისა და სერვისების გაუმჯობესებას. ეს საშუალებას იძლევა, კოლეჯმა სწრაფად უპასუხოს განათლების სექტორში მიმდინარე ცვლილებებს და შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის სტანდარტები.

კოლეჯის პერსონალს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა დანართს წარმოადგენს დეტალური სამუშაო აღწერილობები. სამუშაო აღწერილობები მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- პოზიციის დასახელება;
- სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება და/ან სამუშაო გამოცდილება);
- პიროვნული თვისებები და უნარები;
- ანგარიშვალდებულება და კომპეტენციები.

სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია პოზიციის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე და უზრუნველყოფს კოლეჯის მართვის სტრუქტურის გამჭვირვალობას, პერსონალის ფუნქციური დატვირთვის ეფექტურ განაწილებასა და ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ: კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება მიზნად ისახავს ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ და ეფექტურ განხორციელებას. ამგვარი განაწილება უზრუნველყოფს ოპერაციული პროცესების თანმიმდევრულობას, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და კოლეჯის საქმიანობის უწყვეტობას.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების პრინციპები

✓ თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შესაბამის სამუშაო აღწერილობებში, რაც გამორიცხავს ფუნქციურ დუბლირებას და უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას.

✓ კოლეჯის ოპერატიული პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულება არ წყდება—არ ყოფნის შემთხვევაში, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მოვალეობის შემსრულებელი ან პირდაპირ არის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში.

✓ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ეფუძნება კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებსა და საქმიანობის სპეციფიკას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების ეფექტურ შესრულებას.

სტრუქტურული ერთეულების როლი კოლეჯის ძირითად საქმიანობაში

✓ პასუხისმგებლობების გადანაწილება ემყარება კოლეჯის შიდა რეგულაციებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

✓ თითოეული თანამშრომელი საქმიანობს თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ამგვარი ფუნქციური მოდელი უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტურობას, ადმინისტრაციული სტრუქტურის კოორდინირებულ მუშაობას და კოლეჯის საქმიანობის უწყვეტობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62). ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს როგორც ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს და უზრუნველყოფს მათი სისტემური შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და გაუმჯობესების პროცესის ეფექტურ მართვას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას და მიღებული გადაწყვეტილებების სისწორისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ✓ **გამჭვირვალობა** – ყველა პროცესი ხორციელდება დოკუმენტურად გამართული და საჯარო მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასებების სანდოობას.
- ✓ **საჯაროობა** – ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და ანგარიშვალდებულებას.
- ✓ **ობიექტურობა** – შეფასებები ეფუძნება მკაფიო და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას.
- ✓ **სანდოობა** – მიღებული მონაცემები ეფუძნება დადასტურებულ მტკიცებულებებს, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების ეფექტურობას.
- ✓ **უწყვეტობა** – ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს ხარვეზების დროულ გამოვლენასა და გაუმჯობესებას.
- ✓ **ვალიდურობა** – გამოყენებული მეთოდები და ინსტრუმენტები სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტებთან.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს ამ მიდგომის საფუძველზე -**PDCA ციკლი (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე)** – რაც გულისხმობს პროცესების მუდმივ შეფასებას, აღმოჩენილი ხარვეზების ანალიზს და მათ გაუმჯობესებას კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრულია და მიმართულია პროცესების დამოუკიდებელი შეფასებისა და გაუმჯობესებისკენ. მისი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის პრინციპს, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს ობიექტურ გადაწყვეტილებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის მართვის მენეჯერი ექვემდებარება მხოლოდ კოლეჯის დირექტორს და არ არის ჩართული ოპერატიულ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების მიუკერძოებლობას. მენეჯერი მონაწილეობს თვითშეფასების ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადებაში, მონიტორინგის პროცესში ხელმძღვანელობს ავტორიზაციის სტანდარტებით და კოლეჯის შიდა რეგულაციებით, რაც გამორიცხავს ინდივიდუალური ინტერესების გავლენას. მონაცემების დამუშავება ეფუძნება ფაქტობრივ მტკიცებულებებს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი გასცემს რეკომენდაციებს, რომლებიც ემყარება ობიექტურ ანალიზს და არ ემსახურება რომელიმე პიროვნული ინტერესის დაკმაყოფილებას. აღნიშნული მიდგომები დადასტურდა ვიზიტის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების პროცესშიც.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატიურად ატარებს კვლევებს, ჩამოთვალე კვლევები აკეთებს ანალიზებს, იგეგმება მაკორექტირებელი ღონისძიებები, ან უბრალოდ ვითარდება ცალკეული პროცესები

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად ახორციელებს კვლევებს, მონაცემთა ანალიზს და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად კვლევებსა და ანალიზებს:

1. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევები

- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა – სწავლების პროცესის, აკადემიური გარემოსა და ადმინისტრაციული მომსახურების შეფასება.
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა – კოლეჯის კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლისა და დასაქმების ტენდენციების ანალიზი.
- ✓ მუშაობის დასაწყისში კურსდამთავრებულთა ადაპტაციის კვლევა – დასაქმებულთა პირველი სამუშაო გამოცდილებისა და გამოწვევების შესწავლა.
- ✓ დასაქმების მაჩვენებლების შეფასება – კურსდამთავრებულთა მიერ ახალი სამუშაოს პოვნისა და კარიერული წინსვლის კვლევა.

2. სწავლების პროცესისა და სასწავლო პროგრამების კვლევები

- ✓ სასწავლო კურსების ეფექტიანობის კვლევა – პროგრამების შინაარსისა და პრაქტიკული ღირებულების შეფასება სტუდენტებისა და პედაგოგების მხრიდან.
- ✓ პრაქტიკული სწავლების შეფასება– სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებისა და რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრაციის შეფასება.
- ✓ მასწავლებელთა პედაგოგიური მეთოდების კვლევა – სწავლების სტრატეგიების, მიდგომებისა და სწავლების ხარისხის კვლევა.

3. დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების კვლევები

- ✓ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა – კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეფასება.
- ✓ სამუშაო ბაზრის საჭიროებების კვლევა – პროფესიული პროგრამების ადაპტაციის მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი.
- ✓ თანამშრომლობის შეფასება– კოლეჯისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის კავშირის გაძლიერების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შიდა მართვისა და ადმინისტრაციის კვლევები

- ✓ სერვისების ხარისხის შეფასება – ადმინისტრაციული და ტექნიკური მომსახურების ეფექტიანობის ანალიზი.
- ✓ კოლეჯის შიდა გარემოს კვლევა – თანამშრომლების კმაყოფილების, სამუშაო პირობებისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასება.
- ✓ კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ანალიზი – ორგანიზაციული განვითარების გეგმების ეფექტურობის შეფასება.

5. შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, მაკორექტირებელი ღონისძიებები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონაცემთა ანალიზს, რომლის შედეგად:

- ✔ დგინდება საჭიროებები
- ✔ იგეგმება მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში;
- ✔ ინერგება ახალი მიდგომები სასწავლო მეთოდოლოგიებსა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემაში;
- ✔ უზრუნველყოფილია გაუმჯობესების ციკლის უწყვეტობა, რაც ხელს უწყობს კოლეჯის პროცესების დინამიურ განვითარებას.

6. უწყვეტი განვითარება და გაუმჯობესება

მიღებული შედეგების საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროცესების დახვეწა – პროგრამების განახლება, მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლება და სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პირობების განვითარება

ეს კვლევები ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, თუმცა გასაუბრების დროს დადგინდა რომ ეს საკმაოდ ცოცხალი პროცესია, რომელიც სინქრონულად მიყვება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პროცესებს და ყოფილა შემთხვევა არაგეგმიური კითხვარის შედგენის საჭიროების ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრის. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზები უზრუნველყოფს კოლეჯის სისტემური გაუმჯობესების პროცესს და ხელს უწყობს მისი მიზნების ეფექტურ მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გამჭვირვალეა, დამოუკიდებელი და მიმართულია მუდმივ გაუმჯობესებაზე. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ორგანიზაციის სწავლის ხარისხის ამაღლებას და უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესით - დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 03 იანვრის ბრძ.01-01 შესულია ცვლილებები დირექტორის 2021 წლის 12 აგვისტოს ბრძ. 01-22 შესულია ცვლილებები დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძ. 01-54;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები/სამუშაო აღწერილობებით
- სტრუქტურის მოქმედი ვერსია.
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ. შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-40 30/11/2020წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-04 19/02/2021წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-48 06.11.2023წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-48 06.11.2023წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-16 14.03.2025წ
- გასაუბრებით

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.** კერძოდ: კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდება შესაბამისობაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების, მათ შორის „პერსონალის მართვის წესის“ და „შინაგანაწესის“ შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო კანონზომიერებას და წესრიგს.

1. პერსონალის მართვის რეგულაციები

„პერსონალის მართვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, მოიცავს შემდეგი სფეროების რეგულირებას:

✓ პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები – კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლების შერჩევა და დანიშვნა.

✓ ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი – ახალი თანამშრომლების ჩართვისა და ადაპტაციის მექანიზმები სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სამუშაოს მონიტორინგი და შეფასება – პერსონალის შესრულების რეგულარული შეფასება და შედეგების მონიტორინგი.
- ✓ პროფესიული განვითარების მხარდაჭერა – სტრატეგიები და ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას და მათ მოტივაციას.
- ✓ კმაყოფილების კვლევა – თანამშრომელთა კმაყოფილებისა და კომფორტის შესწავლა.
- ✓ დისციპლინარული წესები – თანამშრომლების მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის დადგენა.
- ✓ დასაქმების შეწყვეტა – პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს სამუშაო ურთიერთობის შეწყვეტის წესებს.

2. „შინაგანაწესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 03 იანვარს, ადგენს:

- ✓ სამუშაო დროის და შესვენებების კოორდინაცია;
- ✓ შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის წესები;
- ✓ გაცდენის დროის აღრიცხვა და მისი შეფასება;
- ✓ როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები;
- ✓ ეთიკის ნორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- ✓ შრომის ანაზღაურებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოების პირობები; შვებულების ოდენობა და მისი გამოყენების წესები;
- ✓ მივლინებების და მოტივაციის მექანიზმები.
- ✓ და სხვა

შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე სავალდებულოდ გასაცნობი დოკუმენტი რის გაცნობასაც ადასტურებს პირი ხელმოწერით.

3. **მარეგულირებელი დებულება-** კოლეჯის დირექტორის მიერ 20/07/2020 წ. ბრძ. №01-27 დამტკიცებული, სადაც გაწერილია პერსონალის ვალდებულებები, რომლიდანაც შემდეგ გამომდინარეობს სამუშაო აღწერილობები, რომელიც შრომის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, და ხელმოწერილია პერსონალის მიერ და განთავსებულია პირად საქმეებში.

პერსონალის მართვის პროცესების მონიტორინგი და მათი შეფასება ხორციელდება რეგულარულად, რაც ხელს უწყობს როგორც სამუშაო პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ასევე კოლეჯის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ეფექტურ შესრულებას.
ეს რეგულაციები უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებების დაცვას და კოლეჯში მუშაობის პრინციპების სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან, რაც სერიოზულად გაუმჯობესებს შიდა პროცესების გამართულობა

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ: კოლეჯში პერსონალის შერჩევის პროცესი ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მოზიდვას და დასაქმებას. აღნიშნული პროცედურები მკაფიოდ გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ 11. 07.2020 წლის ბრძ.№ 01-25 დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში", რომელიც განსაზღვრავს ყველა ეტაპს, რაც დაკავშირებულია თანამშრომლების შერჩევასთან და მათი კვალიფიკაციის შეფასებასთან.

პერსონალის შერჩევა არის გამჭვირვალე და მკაფიოდ დოკუმენტირებული პროცესი. ვაკანტური პოზიციები თავსდება ვებგვერდზე ან დასაქმების პორტალზე **კონკურსის სახით,** რაც უზრუნველყოფს შერჩეული კანდიდატების მაღალი კვალიფიკაციის მიხედვით მოზიდვას. თანამშრომლის აყვანა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს პირდაპირი დანიშვნის წესით, როდესაც დაწესებულებამ მოიძია კანდიდატი და შესთავაზა დასაქმება. შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა **საკვალიფიკაციო მოთხოვნების** სრულ შესაბამისობას, რაც ხელს უწყობს მხოლოდ კომპეტენტური და გამოცდილების მქონე თანამშრომლების შერჩევას.

პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და შეიცავს ყველა მნიშვნელოვან პუნქტს, როგორიცაა:

- სამუშაო თარიღი და სამუშაო ურთიერთობის ხანგრძლივობა
- სამუშაო დრო და დასვენების პერიოდი
- სამუშაო ადგილი და თანამდებობა
- ანაზღაურების პირობები და მისი გადახდის წესი
- ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება
- შვებულებების ხანგრძლივობა და პირობები (ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე)

ვიზიტის დროს გადამოწმდა როგორც პირადი საქმეები .ყველა თანამშრომლის **პირადი საქმე** და მასში არსებული დოკუმენტაცია სრულად შესაბამისობაშია **საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან**. ეს პროცესი გარანტიას აძლევს კოლეჯს, რომ ყველა დასაქმებული კადრი ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს შესაბამისი ცოდნით და გამოცდილებით, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ პერსონალის დანიშვნა ხდება **კანონმდებლობისა** და კოლეჯის შიდა რეგულაციების დაცვით. **კოლეჯი ზრუნავს, რომ ყველა შერჩეული თანამშრომელი იყოს კვალიფიციური და თავის სფეროში გამოცდილი, რაც ხელს უწყობს როგორც ორგანიზაციის სტაბილურობას, ისე ხარისხის გაუმჯობესებას.**

ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კერძოდ: თითოეული თანამშრომლის პროფესიული გამოცდილება და ცოდნა სრულად შეესაბამება პოზიციის შესაბამის მოთხოვნებს. ყველა თანამშრომლის კვალიფიკაცია გადის დეტალურ შემოწმებას და შეფასებას, რათა მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები დასაქმდნენ კოლეჯში.

თითოეული თანამდებობისთვის განსაზღვრულია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ემყარება როგორც ავტორიზაციის სტანდარტებს, ისე კოლეჯის საჭიროებას.

კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომლის კვალიფიკაცია დოკუმენტურად იყოს გამყარებული. პირადი საქმეები მოიცავს არა მხოლოდ განათლების დიპლომებსა და სერტიფიკატებს, არამედ პროფესიული სემინარებისა და ტრენინგების დამადასტურებელ დოკუმენტებსაც, ასევე ცნობებს სამუშაო გამოცდილების დადასტურებისათვის. შესაბამისად, კვალიფიკაციის შესაფასებლად გათვალისწინებულია არა მხოლოდ შესაბამისი განათლება, არამედ სამუშაო გამოცდილება.

თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე შეიცავს სრულ დოკუმენტაციას, რომელიც შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კოლეჯი ატარებს პერიოდულ შემოწმებებს იმისთვის, რომ მუდმივად შეინარჩუნოს კვალიფიკაციის შესაბამისობა. თუ სამუშაო პოზიციას საჭიროებს ახალ უნარებსა და ცოდნას, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებს და პროფესიულ განვითარებას.

დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომელთა შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.** კერძოდ: კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება თანამშრომლობისა და მონაწილეობითი მართვის პრინციპებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად არიან ჩართული ადმინისტრაციის წევრები, რაც უზრუნველყოფს ერთობლივ მუშაობას და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მუშავდება ადმინისტრაციისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების ერთობლივი ჩართულობით. რეგულარულად ტარდება სამუშაო შეხვედრები და განხილვები, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში აისახოს კოლეჯის განვითარებისა და პერსონალის საჭიროებების გათვალისწინება.

პროცესების დაგეგმვა და განხორციელება ხდება თანამშრომლობით, რაც ზრდის ეფექტიანობას და ხელს უწყობს საერთო მიზნების მიღწევას. ცვლილებები რეგულაციებში აქტიურად განიხილება და ადმინისტრაციის წევრები კომპეტენციის ფარგლებში ღებულობენ მონაწილეობას.

კოლეჯის მიზნების მისაღწევად ადმინისტრაცია თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანი სიახლეები და სტრატეგიული გადაწყვეტილებები თანამშრომლებს მუდმივად მიეწოდებათ, რაც აძლიერებს გუნდურობისა და ჩართულობის განცდას.

სტრუქტურული ერთეულები კოორდინირებულად მუშაობენ, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის გამჭვირვალე და ეფექტიან მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უკვე მრავალი წელია არსებობს და ჩამოყალიბებულია მმართველობის დემოკრატიული და გუნდური სტილი, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის სტაბილურ განვითარებას და სამუშაო პროცესის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 4.1.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესით - დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 03 იანვრის ბრძ.01-01 შესულია ცვლილებები დირექტორის 2021 წლის 12 აგვისტოს ბრძ. 01-22 შესულია ცვლილებები დირექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის ბრძ. 01-54;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები/სამუშაო აღწერილობებით
- სტრუქტურის მოქმედი ვერსია.
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ. შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-40 30/11/2020წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-04 19/02/2021წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-48 06.11.2023წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-48 06.11.2023წ შესულია ცვლილებები დირექტორის ბრძ. №01-16 14.03.2025წ
- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის 11. 07.2020 წლის ბრძ. № 01-25
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.** კერძოდ: ხარისხის მართვის მენეჯერი რეგულარულად ატარებს კმაყოფილების თვითშეფასების და სხვა კვლევებს, რათა გაიგოს, თუ რამდენად არის პერსონალი კმაყოფილი მათთან არსებული სამუშაო პირობებით, ორგანიზაციული კულტურით და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით. ამ კვლევების შედეგად შეგროვილი მონაცემები შემდეგ გამოიყენება, როგორც საფუძველი პროფესიული განვითარების საჭიროებათა განსაზღვრაში.

○ კოლეჯში განხორციელდება თვითშეფასების პროცესი, რომლის ფარგლებშიც თითოეული თანამშრომელი საკუთარ სამუშაო პროცესებსა და შედეგებს შეაფასებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს, როგორც სამუშაოს შესრულების შეფასებას, ასევე პირად განვითარებაზე დაკვირვებას. ეს შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმატში, მაგალითად, ონლაინ კითხვარების, ანკეტების, ბლოგების ან დისკუსიების საშუალებით, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს საკუთარ საქმიანობას აღიქვან როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.

○ **კმაყოფილების შეფასება:** კმაყოფილების თვითშეფასების კვლევა მიზნად ისახავს თითოეული თანამშრომლის კმაყოფილების დონეს. ამ პროცესში შესაძლებელია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა სამუშაო გარემო, თანამშრომლების ურთიერთობა, ხელმძღვანელობის სტილი, პერსონალის განვითარების შესაძლებლობები, სამუშაო დრო და ანაზღაურება. კმაყოფილება კვლევის მეთოდები მოიცავს კითხვარებს, ინტერვიუებს და ჯგუფურ განხილვებს, რაც უზრუნველყოფს ფართო და ღრმა მონაცემებს.

○ **დირექტორის მიერ შეფასება:** დირექტორი ახორციელებს თანამშრომლების პერიოდულ შეფასებას, რომელიც ეფუძნება მათი შესრულების შედეგებს, საქმიანობის ხარისხს, პროფესიულ მიდგომას და გუნდურ მუშაობას. შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ჩეკ-ლისტის მეშვეობით. მიღებული შედეგების თანახმად დირექტორი ახორციელებს წამახალისებელ ღონისძიებებს, რაც გამოიხატება პრემიისა თუ სხვა ბენეფიტებში. დირექტორის შეფასების შედეგად გამომუშავებული რეკომენდაციები შეიძლება იყოს თანამშრომლის განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობის დასაგეგმად.

○ თანამშრომლების საქმიანობის ეფექტური შეფასებისთვის გამოიყენება ურთიერთშეფასების ჩეკ ლისტებიც, რომლებიც მარკირებენ სხვადასხვა საქმიანობის შესრულების კრიტერიუმებს. ეს ჩეკ ლისტები საშუალებას იძლევა სწრაფად და ადვილად შეამოწმონ სხვადასხვა ფაქტორი, მოახდინონ მისი კლასიფიკაცია და იდენტიფიცირონ სასურველი ან არასასურველი მიმართულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ პერსონალის მოტივაცია და განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული ზრდის პროცესში. თანამშრომლების მიერ შერჩეული აქტივობებისა და მიღწევების მიხედვით, ტარდება წახალისების ღონისძიებები:

▪ **პრემიები:** კარგი მუშაობის, განსაკუთრებული მიღწევების ან ინოვაციური იდეების გათვალისწინებით, თანამშრომლებს მიენიჭებათ პრემიები, რაც მატულობს მათი მოტივაციას და გრძნობს სარგებელს. პრემიები შეიძლება იყოს როგორც ფინანსური, ასევე სხვა სახის (მაგალითად, სპეციალური დასვენებები, დამატებითი ტრენინგების საფასურის დაფინანსება).

▪ **კერძო წახალისება:** გარდა ზოგადი პრემიებისა, შესაძლოა თანამშრომლებს გაეცეს სხვა სახის წახალისებები, როგორიცაა განათლების დაფინანსება, კონფერენციებზე დასწრება, სპეციალური ტრენინგები და სერთიფიკატები.

▪ **პერსონალური აღიარება:** თითოეული თანამშრომლის პიროვნული მიღწევები და პროფესიული ზრდა აღინიშნება სპეციალური სერთიფიკატებით, თასებით, ბარათებითა თუ სხვა სიმბოლური ნიშანი, რაც ხშირად დამატებით მოტივაციას ქმნის თანამშრომლებთან.

○ **მონაცემების დამუშავება და ანალიზი:** ყველა ამ შეფასებისა და კვლევის შედეგად შეგროვებული მონაცემები ანალიზდება, რათა გამოვლინდეს ძირითადი ტენდენციები, პრობლემები და პრიორიტეტები. ამისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სტატისტიკური ანალიზი, ასევე ტექსტური ანალიზი, რათა გამოვლინდეს თანამშრომელთა შეფასებებში არსებული მასშტაბური საკითხები.

○ **გაუმჯობესების გეგმა:** ყოველივე ამის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს გაუმჯობესების გეგმას, რომელიც მოიცავს:

▪ **პროფესიული განვითარების პროგრამები:** განსაზღვრულია ტრენინგები, კოაჩინგები, мастер-კლასები და სხვა აქტივობები, რომლებიც ემსახურება თანამშრომლების ცოდნისა და უნარების განვითარებას.

▪ **კულტურული და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება:** იმისათვის, რომ სამუშაო გარემო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს, საჭირო ღონისძიებები, როგორიცაა მუშაობის პროცესის გასაუმჯობესებელი მექანიზმების დანერგვა, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, ტექნიკური მხარდაჭერისა და რესურსების გაფართოება.

○ **მონიტორინგი და შეფასება:** გაუმჯობესების გეგმა პერიოდულად გადამოწმდება, და ჩატარდება დამატებითი შეფასებები, რომ გაუმჯობესების პროცესი ყოველთვის იყოს აქტუალური და წარმატებული.

ამ პროცესების შემუშავება და გაუმჯობესება ახორციელებს სიღრმისეულ შეფასებას, რაც ხელს უწყობს კოლეჯის სტაბილურ ზრდას და პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.** კერძოდ: კოლეჯი მიზნად ისახავს **პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას**, რაც ხდება **პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა** და შესაბამისი განვითარების გეგმის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება დგინდება **შემდგომი პროცესების საფუძველზე**:

- თანამშრომელთა **შეფასების შედეგების ანალიზი**
- **თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდივიდუალური თანამშრომლის ინიციატივა და განცხადება პროფესიული განვითარების მოთხოვნით

კოლეჯი თანამშრომლებს სთავაზობს დამატებით კურსებსა და სასწავლო მასალებს, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს. ორგანიზებულია როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგები, რომელთა შერჩევა ხდება კოლეჯის საჭიროებების გათვალისწინებით.
კოლეჯი თანამშრომლებს უწევს მხარდაჭერას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროფესიულ სტაჟირებაში.
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან კონსულტირებით.

მხარდაჭერის მექანიზმები

✓ კოლეჯი თანამშრომლებს უფინანსებს შესაბამის ტრენინგებსა და პროგრამებს, თუ ეს შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და განვითარების სტრატეგიას.
✓ თანამშრომელს ეძლევა ადმინისტრაციული დახმარება ტრენინგებსა და კურსებში მონაწილეობისათვის (მაგალითად, სამუშაო განრიგის კორექტირება).
✓ კოლეჯში არსებული ექსპერტები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს და გამოცდილების გაზიარების სესიებს.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მასწავლებელთა განვითარება ხორციელდება როგორც კოლეჯის შიდა რესურსებით, ისე სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ინიციატივების გამოყენებით. კოლეჯის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა თემატურ ტრენინგებსა და სემინარებში, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების, შეფასების მექანიზმების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და პროფესიული განათლების სისტემის ახალ გამოწვევებზე საპასუხო უნარების განვითარებაზე.
მაგალითად, კოლეჯის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ღონისძიებებში:

- 16-17 ივლისი, 2023 წელი — კერძო კოლეჯების ასოციაციისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი **„სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“**;
- 6 აგვისტო, 2024 წელი — სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება“**;
- 21 ნოემბერი, 2024 წელი — სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“**;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 4-5 დეკემბერი, 2024 წელი — მონაწილეობა ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის (BPA) მიერ ორგანიზებულ ტრენინგში.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. კერძოდ:
კოლეჯში **ახალი თანამშრომლების ადაპტაციის სისტემა** მიზნად ისახავს მათი ეფექტურ და კომფორტულ ინტეგრაციას სამუშაო გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობის წარმატებულ დაწყებას. აღნიშნული პროცესი რეგულირდება **პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის** მე-6 მუხლით, რომელიც დამტკიცებულია **კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ივლისის №01-25 ბრძანებით**.
ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან სწრაფი და წარმატებული ინტეგრაცია ხდება ტიპობრივად
პირველივე სამუშაო დღეს ახალი თანამშრომელი ხვდება დირექტორის, საქმისწარმოებისა და **ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს**, რომელიც აცნობს მას კოლეჯის სტრუქტურას, მის კულტურასა და ძირითად პროცესებს.
ახალ თანამშრომელს ეძლევა დეტალური ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- **თანამდებობისა და კომპეტენციის შესაბამისად მარეგულირებელი დოკუმენტაცია;**
- **სამუშაო ადგილი;**
- **შინაგანაწესი**
- **სამუშაო აღწერილობა**
- **შრომითი ხელშეკრულების პირობები და მოვალეობები**
- **ეთიკის კოდექსი**

კოლეჯში მოქმედებს მენტორობის სისტემა, რომლის ფარგლებში ახალ თანამშრომელს დაენიშნება გამოცდილი თანამშრომელი (მაგალითად, შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელი ან კოლეგა), რომელიც დაეხმარება სამუშაოს სპეციფიკისა და პროცესების გაცნობაში.
საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს ახალ თანამშრომლებს **შიდა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს**, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია პროფესიული და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ.
ადაპტაციის პროცესის დასრულების შემდეგ **ხარისხის მართვის მენეჯერი** ატარებს ახალი თანამშრომლის კმაყოფილების კვლევას. კვლევის შედეგების საფუძველზე ხდება პროცესის გაუმჯობესება.
ახალი თანამშრომლების წარმატებული ადაპტაცია ხელს უწყობს მისი სამუშაოს სწრაფ და ეფექტურ შესრულებას, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და კოლეჯის შიდა პროცესების ოპტიმიზაციას.
როდესაც ხდება ახალი პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლის მიღება პროგრამის დირექტორი აწყობს საინფორმაციო შეხვედრას და სადაც ახალ მასწავლებელს აცნობენ პროგრამის სხვა განმახორციელებელ პირებს, ხდება გამოცდილების გაზიარება და სხვა სასარგებლო ინფორმაციის გაცვლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე აღსანიშნავია, რომ ახალ თანამშრომელს უტარდება პირველადი ინსტრუქტაჟი (არაგეგმიური) შრომის უსაფრთხოებაში, სადაც კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აცნობთ თანამშრომელს კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების ნორმებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ:

თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ (11. 07.2020 წლის ბრძ. № 01-25) მუხლი 8. პერსონალის შენარჩუნება და წახალისება. დებულების თანახმად აკადემიაში დასაქმებულთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, წახალისების სახეებია:

- მადლობა;
- ფულად პრემია;
- თანამდებობრივი სარგოს გაზრდა;
- ფასიან საჩუქარი;

წახალისება ცხადდება დირექტორის ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წახალისებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია(წახალისების ბრძანებები) და გასაუბრების შედეგად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები. გასაუბრება შედგა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

დირექტორი წახალისების ფორმის შერჩევაში შეზღუდული არ არის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც ინდივიდუალურ შეფასებას, ასევე ორგანიზაციული საჭიროებების გათვალისწინებას. წელიწადში ერთხელ კოლეჯის დირექტორი ახორციელებს პერსონალის შეფასებას წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც ცნობილია პერსონალისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებას, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების წარმატებით შესრულებას**

მაგალითისთვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2024 წელს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა 12 ადმინისტრაციული თანამშრომელი და 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი ფულადი პრემიით დააჯილდოვა.
ამავე წელს, 29 ივლისს, დირექტორის ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზებული იყო საგანმანათლებლო ექსკურსია თურქეთში, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის თანამშრომლებმა მოინახულეს სუმელას მონასტერი და ტრაპიზონის მცირე აია სოფიას მონასტერი. ასევე პირად საქმეებში დაცულია მადლობის სიგელები.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის 11. 07.2020 წლის ბრძ. № 01-25
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- წახალისების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. კერძოდ: კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა N: B 23 102 724 , 2023 წლის 20 ივლისი თარიღით ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და 2024 წლის 8 ნოემბრის ამონაწერი ფართის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრიდან N: 892024699316. კოლეჯის ფართი განლაგებულია ორ სართულზე. ხელშეკრულება გაფორმებულია ავტორიზაციის ვადით და გატარებულია საჯარო რეესტრში. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, თავისუფალი სივრცეები გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის. აკადემიის ინფრასტრუქტურა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ შპს ბათუმის საზოგადოებირივი აკადემია BPA-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში აქვს 655 კვ/მ შენობა ნაგებობა. კოლეჯის ფართი განლაგებულია ორ სართულზე. ხელშეკრულება გაფორმებულია ავტორიზაციის ვადით და გატარებულია საჯარო რეესტრში. კოლეჯი მდებარეობს მისამართზე – ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის 67

დაწესებულებას გააჩნია შემდეგი ტიპის კეთილმოწყობილი და ფუნქციურად გამიჯნული სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ლაბორატორიები თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი პრაქტიკული კაბინეტები;
- ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი;
- ადმინისტრაციული ოფისები და სამუშაო სივრცეები პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდივიდუალური სველი წერტილები (მათ შორის – ადაპტირებული შშმ პირთათვის);
- საერთო და დასასვენებელი სივრცეები სტუდენტებისთვის, შემოქმედებითი და შემეცნებითი საქმიანობისთვის;
- დამხმარე სივრცეები

ინფრასტრუქტურის აღწერა დადასტურებულია დოკუმენტურად – წარმოდგენილია უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტომასალა და შენობების დეტალური პასპორტები.

ასევე, ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ სივრცეები ფუნქციურია და სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო მოთხოვნებს

დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია 7. მატერიალური რესურსების მართვის წესი- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ; 12. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58; რაც განსაზღვრავს რესურსების მართვისა და კონტროლის ერთიან მექანიზმს. წარმოდგენილია ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ანგარიშები და შედარების უწყისები, რაც ადასტურებს, რომ პროცესები ტარდება რეგულარულად და სისტემურად და მატერიალური რესურსები იმართება რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.1.1.1. შესაბამისობაშია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კერძოდ: დაწესებულების მოწესრიგებული, საგანმანათლებლო პროცესებისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მრავალფეროვანი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის მიერ 2024 წლის 15 ნოემბრის N 01-57 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ სტუდენტთა-მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“ მუხლი 3. სტუდენტთა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა. ასევე დამტკიცებულია მატერიალური რესურსების მართვის წესი

მატერიალური რესურსების მართვის წესი დეტალურად არეგულირებს:

- ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გამოყენების საკითხებს,
- ინვენტარისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების პროცედურებს,
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების განკარგვის/ნარჩენების მართვის წესს,
- უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას,
- ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობას და პროცედურებს,
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მექანიზმებსა და გეგმიურ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს
- და სხვა

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, ვიზუალური და აუდიო რესურსებით, მუდმივი ინტერნეტით, კომპიუტერული ტექნიკით და ხელმისაწვდომია Open biblio-ს ციფრული პლატფორმა.

პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები ადასტურებს რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე ერთმნიშვნელოვნად დადებით შეფასებას:

- გამოკითხულთა 100% დადებითად აფასებს ინფრასტრუქტურას, მათ შორის თეორიული სწავლების აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, მატერიალურ/სასწავლო რესურსს, ინვენტარსა და კომპიუტერულ ტექნიკას.
- 98% ინფორმირებულია და რეალურად სარგებლობს საერთო სარგებლობის სივრცეებით.

აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ დაწესებულებას გააჩნია მტკიცედ დადგენილი წესები მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და მათზე წვდომის უზრუნველყოფის შესახებ, და არსებული რესურსები ადეკვატურად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.

ინდიკატორი 5.1.1.2. შესაბამისობაშია

3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კერძოდ: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58** რომელიც არეგულირებს

- სითბურ-საჰაერო რეჟიმის მართვას
- წყალმომარაგების უზრუნველყოფას
- სანიტარულ-ჰიგიენური (ნორმებისადმი) პირობების დაცვას
- მონიტორინგს და სხვა

აკადემიაში ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება; ნარჩენების გატანა ხორციელდება შესაბამისი კონტეინერებით, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე. დაწესებულებაში დამონტაჟებულია დახურული, უკონტაქტო ნარჩენების კონტეინერები ერთჯერადი პაკეტებით; ხორციელდება დასუფთავების სამუშაოების კონტროლი რეგლამენტით განსაზღვრული პერიოდულობით მიმდინარეობს, რაც დასტურდება პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით, **სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებით:**

- **98%-მა დადებითად შეაფასა** საერთო სარგებლობის სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.
- დაწესებულება რეაგირებს ყველა გასაუმჯობესებელ საკითხზე **ანონიმური ნდობის ყუთის** მეშვეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნა: აკადემიის სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც გამყარებულია დადგენილი რეგლამენტით, მონიტორინგის მექანიზმებითა და სტუდენტთა/პერსონალის მაღალი კმაყოფილების დონით.

ინდიკატორი 5.1.1.3. შესაბამისობაშია

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. კერძოდ: დაწესებულების შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია გათბობისა და გაგრილების სისტემებით. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების საშუალებებით (კონდენციონირებით), რაც უზრუნველყოფს სწავლისა და მუშაობისთვის კომფორტულ გარემოს ყველა სეზონზე .ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, კოლეჯის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობითა და მათი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობით და ამავე დროს 2018 წლის 13 თებერვალს შპს „სოკარ ჯორჯია“-სა და შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPI -ს შორის გაფორმებული ბუნებრივი გაზის ნასყიდობის N23-18-ი ხელშეკრულებით.

სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები ადასტურებს სისტემების ეფექტიან მუშაობას:

- გათბობის სისტემის ფუნქციონირებას და გაგრილების საშუალებებს 90% მეტი დადებითად აფასებს;

აკადემიის შენობა-ნაგებობა სრულად უზრუნველყოფილია გათბობის სისტემითა და გაგრილების შესაძლებლობით რაც დადასტურებულია სტუდენტებისა და პერსონალის მიერ და ასახულია კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლით, როგორც წარმოდგენილი კითხვარების შედეგების ანალიზებში ისე გასაუბრებით.

ინდიკატორი 5.1.1.4. შესაბამისობაშია

5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხების უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ:
კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 08 ივლისის შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანებით N 01-23 დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შენობა აღჭურვილია **შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მექანიზმებით**, მათ შორის:

- **საევაკუაციო გეგმები** გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოებთან;
- შენობას გააჩნია სათანადო რაოდენობის **საევაკუაციო გასასვლელები და კიბეები**;
- შენობა აღჭურვილია სრული **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით**, მათ შორის:
  - სახანძრო სიგნალიზაციით;
  - ევაკუაციის მართვის სისტემითა და მანათობელი, ავარიული ნიშნებით;
  - ავტომატური ცეცხლჩაქრობის სისტემით (სპრინკლერებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ცეცხლმაქრებით, რომელთა გამოყენებაზე ტარდება რეგულარული ინსტრუქტაჟები და პრაქტიკული სწავლებები;
- ყველა აქტივობა დოკუმენტირებულია: იწარმოება ინსტრუქტაჟის ჟურნალები და მოიცავს შესაბამის ფოტო/ვიდეო მტკიცებულებებს.

კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მუდმივად იმყოფება კოლეჯში. გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა და ფლობა ვადიან სერტიფიკატს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

- შრომის პირობებისა და რისკების შეფასებას;
- პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავებას, მონიტორინგს და დოკუმენტირებას;
- ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას როგორც თანამშრომლებისთვის, ისე სტუმრებისთვის;
- აღჭურვილობისა და ტექნიკური საშუალებების შემოწმებას;
- რისკების შეფასებას, აღრიცხვასა და მართვას საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

დოკუმენტური მხარდაჭერა რეგულირდება შემდეგით:

- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით
- „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებით
- „საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმით
- „საკონტროლო, გამზომი და საცდელი მოწყობილობების მართვის პროცედურებით

შეფასების შედეგები: ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგად, **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის 100% თავს უსაფრთხოდ გრძნობს** და დადებითად აფასებს შრომის უსაფრთხოების სისტემას.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან , რომელმაც წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, ინსტრუქტაჟების ჟურნალები. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს მოხდა შემდეგი ფაქტი: ჩაირთო საგანგაშო სიგნალი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა და ადმინისტრაციის დანარჩენმა წევრებმა იმოქმედეს წესების სრული დაცვით და განახორციელეს შენობაში ყოფი პირების დროული ევაკუაცია, შემდეგ შემოწმდა შენობა და უსაფრთხოების დადგენის შემდგომ აღდგა სამუშაო პროცესი. სტუდენტებმაც და ადმინისტრაციამაც დაადასტურა , რომ სისტემატიურად უტარდებათ ინსტრუქტაჟები და სწავლებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში სრულად მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რასაც ადასტურებს როგორც დოკუმენტური მტკიცებულებები, ისე ბენეფიციართა მაღალი კმაყოფილება.

ინდიკატორი 5.1.1.5. შესაბამისობაშია

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.** კერძოდ: როგორც აღვნიშნეთ დამტკიცებულია დოკუმენტი "მატერიალური რესურსების მართვის წესი" რომელიც არეგულირებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესებს;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესებს;
- უსაფრთხოების სპეციალური ნორმების დაცვას საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში.

რესურსების მართვა ხორციელდება სისტემურად, განსაზღვრული პროცედურების მიხედვით:

- საჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი დირექტორთან შეთანხმებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესასყიდი რესურსების ნუსხას ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ერთად;
- აღნიშნული ნუსხა წარედგინება მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა; ინვენტარისა და მასალა-ნედლეულის შესყიდვა უნდა განხორციელდეს უშუალოდ მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.
- შესყიდვები შესაძლოა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ ან ეტაპობრივად, მარაგის შევსების პრინციპით;
- რესურსების შენახვისა და გამოყენების პირობები რეგულირდება მათი ვარგისიანობის ვადების გათვალისწინებით და შესაბამისი პირობების დაცვით.

რესურსების აღრიცხვა და მონიტორინგი:

- მასალების/ნედლეულის გაცემასა და დაბრუნებას აწარმოებს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი;
- გამოყენებული და გაუხარჯავი რესურსების აღრიცხვა და კონტროლი ხდება შესაბამის ჟურნალებში, მიმღების ხელმოწერითა და მიღება-ჩაბარების აქტით;

პრაქტიკული კომპონენტის რესურსების მართვა:

- პრაქტიკული კომპონენტები ტარდება პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები;
- მასალებით უზრუნველყოფას უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება, შესაბამისად, კოლეჯი მათ შესყიდვას არ ახორციელებს.

კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით: გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის 90% -ზე მეტი დადებითად აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას.

კოლეჯში მოქმედებს დადგენილი წესები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის, გამოყენებისა და აღრიცხვის გამჭვირვალე და ეფექტურ მექანიზმებს.

ინდიკატორი 5.1.1.6. შესაბამისობაშია

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კერძოდ:

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას PDCA პრინციპის გამოყენებით, რაც გულისხმობს ძირითად და დამხმარე პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ საკუთარი პროცესების დაგეგმვას, შესრულებას, შეფასებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებას. ადმინისტრაციული პირები აფასებენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეულ მომსახურებას და შედეგებს იყენებს საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის მართვის მენეჯერი თავად აფასებს ცალკეულ პროცესებს, ასევე აანალიზებს სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის წესი“, რომელიც არეგულირებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების პერიოდულობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას ახორციელებს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან თანამშრომლობით. ხორციელდება სისტემატიურად შემოვლა და დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების შედეგები განიხილება დირექტორთან. პრევენციული და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს შესყიდვის, განახლების, აღდგენისა და აღრიცხვის ღონისძიებებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება სავალდებულოდ წარმოებს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ; ასევე ხორციელდება ადმინისტრაციის, განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მატერიალურ ტექნიკური რესურსით და სხვა. ზემოაღნიშნული კვლევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ და წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და ყველა კატეგორიის პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციები, ასევე რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ეფექტიანობა დასტურდება პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგებით, რის მიხედვითაც მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის 90% -ზე მეტი დადებითად აფასებს ინფრასტრუქტურას, მათ შორის - თეორიული სწავლების აუდიტორიებს, პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიებს, მატერიალურ-ტექნიკური რესურსს, სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსს/მასალა/ნედლეულს, ინვენტარი (მაგიდა, სკამი, კარადა), კომპიუტერული ტექნიკა, ბეჭდური/ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები; გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის 98% ინფორმირებულია და იყენებს საერთო სარგებლობის სივრცეებს.
ასევე ხდება საგანმანათლებლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო მომსახურების შეფასება, სადაც ასევე კმაყოფილების და შეფასების მაღალი პროცენტია. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ინდიკატორი 5.1.1.7. შესაბამისობაშია

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.** კერძოდ: კოლეჯის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის. დაწესებულებაში მოწყობილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პანდუსები. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის ხელსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების კალათა. ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა/პერსონალის 95% დადებითად აფასებს საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. შესაბამისად, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

ინდიკატორი 5.1.1.8. შესაბამისობაშია

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორი 5.1.1.9. შესაბამისობაშია

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; ბნსუ-ს თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილ შენობაში არის ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და დასასვენებელი სივრცეები, რომლებიც დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო სივრცეში. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

ინდიკატორი 5.1.1.10. შესაბამისობაშია

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კერძოდ ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით, დებულებითა და კოლეჯის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი''-ს შესაბამისად. კოლეჯის ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:30 სთ-დან 17.30 საათამდე, ხოლო შაბათს 09:30 სთ-დან 15.30 საათამდე. პროფესიული სტუდენტი და პერსონალი (მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაწესებულების საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები დარეგულირებულია შესაბამისი დებულებით. ელექტრონული წიგნები ასევე განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე ბიბლიოთეკის სექციაში. ბიბლიოთეკაში არსებობს სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკას გააჩნია ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნე. ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტისათვის ასევე ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

ბიბლიოთეკარის პირადი საქმის შესწავლითა და მასთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკაში დაცული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობა ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- მატერიალური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები;
- სანიტარულ ჰიგიენური დაცვის მექანიზმები;
- ხელშეკრულება შპს სოკარ ჯორჯია გაზი;
- ბუნებრივი აირის გადახდის ქვითრები;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- იჯარის ხელშეკრულება;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- მასა ნედლეულის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევები და ანგარიშები;
- ბიბლიოთეკის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კერძოდ: დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის 13 თებერვალს შედგენილი N 33 სახანძრო - ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი. რის საფუძველზეც დგინდება რომ შენობის ხანძარსაწინაღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია უსაფრთხოების ნორმებთან. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბუროს საინჟინრო დასკვნა N: 004957720, რის შედეგადაც დასტურდება, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია (წერილი ნომერი: 5004846020).

ინდიკატორი 5.1.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები: კერძოდ, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N01-51 ბრძანებით დაწესებულებაში მოქმედება „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“. კოლეჯში პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას. ექთნის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება მისის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ექთნის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კოლეჯის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი. კოლეჯი იღებს ვალდებულებას პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი საშუალებების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება. ექთანი ასევე აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალს.

ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. კერძოდ: დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმა რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია ,,BPA”-ს საქმიანობის საფუძველს და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორი დადგენილი გრაფიკით ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟების, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა აღრიცხვის ჟურნალით.

ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კერძოდ, 2024 წლის 1 ნოემბერს კოლეჯს გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულება N 03-21 შპს მონიტორთან. კოლეჯი უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებული მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას. წესრიგის დაცვისათვის აკადემიის სტრუქტურული ერთეულით განსაზღვრულია დავის თანამშრომელი რომელიც სასწავლო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო სათვალთვალო კამერებით. დაწესებულების შენობა-ნაგებობების შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები და ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. ვიდეო სათვალთვალო კამერები ჩართულია შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში 112-ში. რასაც ადასტურებს 2024 წლის 20 სექტემბერს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტი N:1201278531. და ვიზუალური დათვალიერება.

ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმე;
- ექთნის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- წესრიგის დაცვის რეგულაციები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები ;
- შენობაზე დასკვნა მდგრადობის შესახებ;
- აკადემიის სტრუქტურა;
- დაცვის თანამშრომლის სამუშაო აღწერილობები;
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტი #1201278531 გაცემული 2024 წლის 20 სექტემბერი.
- შპს მონიტორთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- გაწეული სამედიცინო დახმარების ამსახველი ჟურნალი;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- 2024 წლის 01 მარტის MIA 6 24 00626461 წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შეთანხმების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ: კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა. 2024 წლის 24 იანვარს კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და ტექნო ბუმთან. ხელშეკრულება მიზნად ისახავს კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებას, სათადარიგო და სახარჯი მასალებით მომარაგებას, კატრიჯების დატენვას, პროგრამული უზრუნველყოფასა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 24 იანვრამდე. ასევე საგანმანათლებლო სარგებლობს სილქნეტი-ის პროვაიდერის მომსახურებით, კოლეჯში უწყვეტად მიმდინარეობს ოპტიკური ინტერნეტის მიწოდება, რაც დასტურდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით N03-09 უწყვეტი ოპტიკური ინტერნეტ მომარაგების შესახებ. ასევე კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი უსადენო WIFI მოწყობილობებით, რომელიც თავისუფალი გამოყენების სფეროს წარმოადგენს. ყველა ადმინისტრაციულ თანამშრომელს აქვს ინდივიდუალურად ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი. ყველა აუდიტორია აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, მონიტორებით და კომბაინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კერძოდ: დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესების მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) რისკების მართვა განსაზღვრულია როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის ფუნქციონირების უწყვეტობასა და დაცულობას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს IT რისკების მართვის წესები, რომლებიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- რისკების იდენტიფიცირება — ყველა იმ საფრთხის გამოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციული აქტივების გამოყენებასთან;
- რისკების შეფასება — შეფასება იმის მიხედვით, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ კოლეჯის ფუნქციონირებაზე და რამდენად მაღალია ამ შედეგების დადგომის ალბათობა;
- რისკების მართვის პროცესის რეგულარული მონიტორინგი და განხილვა — რისკების მართვის სისტემური მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება;
- ფასეულობის განსაზღვრა და კონტროლის მექანიზმების შეფასება — ინფორმაციული აქტივების მნიშვნელობის განსაზღვრა, მოსალოდნელი საფრთხეების, სუსტი წერტილებისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირება, არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, რისკების პრიორიტეტიზაცია და შესაბამისი კლასიფიკაცია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვას. კოლეჯში იდენტიფიცირებულია იმ ელექტრონული ინფორმაციის საცავები, რომლებიც შეიცავს საგანმანათლებლო პროცესებისთვის აუცილებელ მონაცემებს, და უზრუნველყოფილია მათი დაცულობა სარეზერვო ასლის შექმნის გზით.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და განახლება, ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს კოლეჯის შეუფერხებელ მუშაობას, სტუდენტებისა და პერსონალის მონაცემთა დაცულობას და უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კერძოდ: აკადემიაში უზრუნველყოფს კანონის შესაბამისად პერსონალურ მონაცემთა დაცვას. აღნიშნულის ეფექტურად განხორციელებისათვის აკადემიას ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია და რეგულაცია. პროფესიულ სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმირებულები არიან, ინსტიტუციური მიზნებისთვის, პერსონალური მონაცემების დამუშავების საჭიროების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაშია

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. კერძოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარების მექანიზმების თანახმად ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას. კოლეჯს გააჩნია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სასწავლო/სამუშაო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულება აუმჯობესებს IT სისტემების ეფექტიანობას და რათა არ მოხდეს სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფერხება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაშია

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კერძოდ, პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისობაშია

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კერძოდ: დაწესებულებაში პროფესიული განათლების ცენტრში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტის მისამართებს. დაწესებულებას შექმნილი აქვს მათი ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. გარდა ამისა, ცენტრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებსა და ე.წ ჩატებს სოციალურ ქსელში, აღნიშნული დასტურდება როგორც პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებით ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთანაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- IT ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი;
- IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები;
- ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება“;
- პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებები, ვებგვერდის და სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგები;
- შპს ტექნო ბათუმი გაფორმებული ხელშეკრულება;
- ხელშეკრულება #2024/9/1 ჰოსტინგისა და დომეინის მომსახურეობის შესახებ
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალური მონაცემთა გუნდთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ჩატარებული კვლევები და ანგარიშები;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსების მართვის წესის;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კერძოდ, კოლეჯში მოქმედებს დირექტორის შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 09 ივლისი № 01-24 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 2024 წლის 18 ოქტომბრის N 01-52 ბრძანებით ბრძანებით) დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, რომლის მიხედვით კოლეჯი საქმის წარმოებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა, საქმისწარმოების ერთიანი წესის და კოლეჯში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საქმისწარმოების ერთიანი წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს. კოლეჯში საქმისწარმოების პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ასევე საქმისმწარმოებელი აწარმოებს საქმიანობას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) სისტემის საშუალებით და მატერიალური ფორმით. ელექტრონული სახით „eflow” სისტემის მეშვეობით წარმოებულ კორესპოდენციას, ბრძანებებს ენიჭება უნიკალური კოდი/ნომერი სადაც შესაძლოა არ იყოს დაცული ნომრის რიგითობა, ნომრის მინიჭება ხორციელდება. ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა teams, Google, office 365 , zoom და სხვა პლატფორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.2.2. შესაბამისობაშია

3. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ: კოლეჯში ძირითადი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესებში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად საქმისწარმოებისათვის გამოიყენება „eflow” .ეს სისტემა არა მხოლოდ ტექსტური დოკუმენტაციის შექმნას და მართვას, არამედ კორესპონდენციის, ბრძანებების და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების ავტომატიზირებულ პროცესსაც უზრუნველყოფს. დოკუმენტებს ენიჭება უნიკალური კოდი/ნომერი, რაც გამჭვირვალობას და ადვილად მისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა ელექტრონულად წარმოებული დოკუმენტს ენიჭება უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერა და კვალიფიციური შტამპი, რაც დემონსტრირებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას არამხოლოდ მონაცემების მართვის, არამედ დოკუმენტაციის უსაფრთხოების მხარითაც.

კოლეჯი აკონტროლებს და მართავს ინფორმაციის შეყვანას **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი ყავს სპეციალურად პირი.** ისე რომ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემები ყოველთვის არის დროულად ასახული. ამას უზრუნველყოფს სპეციალისტი, რომელიც ზრუნავს მონაცემთა განახლებაზე და მათი უწყვეტ განვითარებაზე.

ეს ყველაფერი გულისხმობს, რომ კოლეჯი რეალურად ხორციელდება ტექნოლოგიური სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა პროცესების მართვას უფრო ზუსტად, გამჭვირვალედ და ეფექტურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისობაშია

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, კოლეჯი მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2020 წლის 09 ივლისი № 01-24 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 2024 წლის 18 ოქტომბრის N 01-52 ბრძანებით ბრძანებით) დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (E-Flow) შემოწმების შედეგები;
- მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია / შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;
- ბრძანებების, დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შემოწმების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კერძოდ: დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: www.bpa.ge და სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/www.bpa.ge ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი). სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, სხვადასხვა კონკურსების, მიღებების, ჩარიცხვებისა და დაწესებულებაში განხორციელებული სხვადასხვა სახის ვიზიტების/აქტივობების შესახებ. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია დაწესებულების წესდება, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმების ანგარიშები, სხვადასხვა მარეგულირებელი და იურიდიული დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, სტრუქტურა და სხვა. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია სიახლეების ველი, სხვადასხვა სახის კითხვარები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, ინფორმაცია პერსონალზე და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. კერძოდ: დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიული განთლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი ქართულენოვანია. ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.** კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდზე სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია IT სპეციალისტი. ფეისბუქ გვერდის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროფორიენტაციის მენეჯერი. კოლეჯში მოქმედი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას რომელიც შეთანხმებულია კოლეჯის დირექტორთან და პასუხისმგებელ პირებთან.
მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი ახორციელებს გარკვეულ საიმიჯო და ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმოს უფრო მასშტაბური საინფორმაციო და საიმიჯო კამპანია ცნობადობის გაზრდის მიზნით. და რეგიონში არსებული კონკურენციის პირობებში კოლეჯის ძლიერ მხარეთა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების წარმოსაჩენად. რეგიონის პროფესიული საგანმანათლებლო ბაზარზე აქტიურად მოქმედებენ სხვა კოლეჯები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რაც ზრდის საჭიროებას, რომ კოლეჯმა უფრო ინტენსიურად იმუშაოს საკუთარი იმიჯისა და შეთავაზებების კომუნიკაციაზე. მიზანშეწონილია სისტემურად გაიმართოს სხვადასხვა უფრო მასშტაბური ღონისძიებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებები, ასევე გაძლიერდეს მედიასთან და სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობა. არსებული წარმატებული პრაქტიკების შენარჩუნების პარალელურად, კიდევ უფრო გააძლიეროს ცნობადობის ამაღლებისა და იმიჯის განმტკიცების ღონისძიებები, გააფართოოს პარტნიორული თანამშრომლობები და გააძლიეროს კომუნიკაცია როგორც რეგიონულ, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნულ დონეზე, კონკურენტუნარიანობისა და განვითარების ხელშესაწყობად. ასეთი ნაბიჯები გააუმჯობესებს კოლეჯის პოზიციონირებას როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე შესაძლო ეროვნულ დონეზეც და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოზიდვასა და კოლეჯის განვითარებას.

მიუხედავად რეკომენდაციისა აქვე გვინდა ავრწეროთ ერთი საკითხი: კოლეჯში არსებობს წარმატებული პრაქტიკა პროფესიული პროფორიენტაციის მიმართულებით. კოლეჯი სისტემურად ახორციელებს პროფესიული პროფორიენტაციის აქტივობებს სკოლებში და პროცესში, რომელშიც აქტიურად რთავს საკუთარ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს. სტუდენტების/კურსდამთავრებულების უშუალო მონაწილეობა პროფორიენტაციის პროცესში აუმჯობესებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, ზრდის პროფესიული განათლების მიმართ ინტერესს, სანდოობას და აყალიბებს კოლეჯის თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ იმიჯს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც კოლეჯის ცნობადობის ზრდას რეგიონში, ასევე სკოლის მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

გადაჭრილად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს კოლეჯის პოზიტიურ მხარეს, რის გამოც მიზანშეწონილაად ჩავთვალეთ, ექსპერტთა მიერ გამოიკვეთოს იგი როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კერძოდ, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული კატალოგი, კოლეჯში ყოველ სასწავლო წელს აქვეყნებს განახლებულ კატალოგს. კატალოგში მოცემულია სრული ინფორმაცია აკადემიაში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისობაშია

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში მყისიერად ხორციელდება ცვლილებების ასახვა კატალოგში. სტანდარტულად ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ხორციელდება კატალოგის განახლება .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისობაშია

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოს: დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, დახურული ჯგუფებიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე ხდება სათანადო რეაგირება. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, რასაც წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით. ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი
- დაწესებულების Facebook სოციალური ქსელის გვერდი:
- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული და სტუდენტთა მიერ შემოტანილი სწავლის საფასურის სახით. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულებით პასუხისმგებელი პირები.
პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მითითებულია დასახული მიზნებისა და ამოცანებისათვის საჭირო კონკრეტული ფინანსური რესურსი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ხელმძღვანელობასა და ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შედეგადაც დადასტურდა გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისობაშია

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი კომპონენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო ხარჯები, რაც გარდა დოკუმენტური მტკიცებულებებისა, დასტურდება პერსონალთან და კოლეჯის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირებით. ამასთან, საოპერაციო ხარჯების დინამიკა ბოლო ორი წლის მონაცემებით მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ:

დაწესებულებამ აწარმოებს ფინანსურ ანგარიშს და ასაჯაროვებს მას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ამ ანგარიშებს იყენებს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შეფასებისთვის. გარდა კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშებისა, დაინტერესებულ მხარეებისათვის დაწესებულების ფინანსური ანგარიშები საჯაროა და ატვირთულია შესაბამის პორტალზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. შესაბამისად:

დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, იგეგმება შემდგომი აქტივობები და ხდება სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ვებგვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- კოლეჯის დაფინანსების დინამიკა;
- საოპერაციო ხარჯები;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-05 12/02/2019 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძანება № 01-15 19/06/2020 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძანება № 01-07 12/04/2021 წ განხორციელდა ცვლილება ბრძანება № 01-31 07.11.2022 წ განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ცვლილება ბრძანება № 01-21 09.06.2023 წ განხორციელდა ცვლილება ბრძანება № 01-72 16.12.2024 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. კოლეჯის მისია გულისხმობს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა პირდაპირ ასახავს ამ მიზანს, რადგან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს დასაქმებას და პროფესიული განვითარების გაგრძელებას. მისია ასევე ხაზს უსვამს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართულობას, რაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობების პრინციპით.

სტრატეგიული მიზანი №2 – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სრულად შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის განხორციელებას, რადგან:

- პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევებით.
- კოლეჯს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
- არსებობს მეთოდოლოგია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის, რაც აჩვენებს, რომ პროცესი მოთხოვნებთან შესაბამისი და გამჭვირვალეა.

წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.

პროგრამის მოცულობა, მოდულები და სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით: ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება დასაბუთებულ საჭიროებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: "ბუღალტრული აღრიცხვის" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10.(განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63)

დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო:

- ✓ აუდიტორიები აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით;

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "ბუღალტრული აღრიცხვა" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში 40 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაც გულისხმობს ერთი ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლაში 40 სტუდენტი) ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე რამდენიმე წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების.

- დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის.
- განმახორციელებელთა და სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი.
- საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას.
- ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ბუღალტრული აღრიცხვა” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება დადგენილია კოლეჯის დებულებით (20/07/2020 წ. ბრძ. №01-27) მუხლი 7. დირექტორი, პუნქტი 7.3.5 "ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს."

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

- ✓ სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვას, ორგანიზებასა და წარმართვას;
- ✓ ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათ შესაბამისობა კანონმდებლობასა და სტანდარტებთან;
- ✓ ბუღალტრული გატარებების განხორციელებას;
- ✓ საგადასახადო დეკლარაციების შედგენას და წარდგენას დადგენილი წესით;
- ✓ საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების, პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებას როგორც გარე, ისე შიდა მომხმარებლებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში განვითარების მიზნით შედიოდა ცვლილებები ყოველწლიურად. ბოლო ცვლილება პროგრამაში განხორციელდა ბრძანება № 01-72 16.12.2024. სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ. ;ცვლილება ბრძ. №01-05 12/02/2019 წ.; ცვლილება ბრძანება № 01-15 19/06/2020 წ.; ცვლილება ბრძანება № 01-07 12/04/2021 წ.; ცვლილება ბრძანება № 01-31 07.11.2022 წ.; ცვლილება ბრძანება № 01-21 09.06.2023 წ.; ცვლილება ბრძანება № 01-72 16.12.2024 წ
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით”- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სტრატეგიული განვითარების გეგმით 2020 -2027 წ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 12/03/2020 წ. ბრძ.# 01-10 შესულია ცვლილება დირექტორის 12/04/2023 წ. ბრძ.# 01-13
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ 20 (ორ ცვლაში 40) პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) (ორ ცვლაში 40) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამა (ORIS).

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ORIS) პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების **ბაზაზე. შესაბამისად, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 16 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 9, ხოლო 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 10 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;

“ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ.

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით-დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- ბიბლიოთეკის დებულებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძ № 01-35;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ.;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ№01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ№ 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ№ 01-62;*
- *სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;*
- *გასაუბრებით*
- *კვლევების მეთოდოლოგიით*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის" პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.3სდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით **გონივრული ხანგრძლივობით**.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით **ჩატარდა გასაუბრებები** კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. **პროფესიულმა** სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს.
სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია საბუღალტრო პროგრამით (ორისი) რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია :პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საბუღალტრო პროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)
-

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებისთვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათით გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.
გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება.
სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინგ-ის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.
შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

- გასაუბრებით დადგინდა , რომ კოლეჯს მხოლოდ ერთხელ დაჭირდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როდესაც ერთდროულად გადმოვიდა კოლეჯში გარკვეული სტუდენტების რაოდენობა, ერთ პროგრამაზე. მათთვის შედგა ინდივიდუალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მობილობით მოსარგებლე სტუდენტებმა დაადასტურებს რომ ჩართული იყვნენ თავადაც გეგმის შემუშავების პროცესში. დანარჩენმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.
✓ სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად არის შესაძლებელი კოლეჯის ბაზაზე. შესაბამისად კოლეჯს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ყავს პრაქტიკის ობიექტი.
კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.
ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.
აუდიტორიაში გამოკრულია კომპიუტერებთან მუშაობის წესები. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.
ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვა" კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. № 01-23 08.7.2020წელი
- კომპიუტერთან მუშაობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.

1. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპები

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას.
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.
ვალიდაცია ხორციელდება როდესაც იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.
პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან – გაიმართა საუბრები. მათგან შევაგროვეთ ინფორმაცია და აღვნიშნეთ მათი მოსაზრებები მიმდინარე პროცესის შესახებ. ამ პროცესში ასევე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამასთან
- შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და სრულყოფილება.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:
შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.
შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას.

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განსაზღვრულ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.
შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.
შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.
პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითრებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის „საფინანსო სერვისები" შესახებ

IV. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანება № 01-35 20/11/2018წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-05 12/02/2019წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-06 15/02/2019წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-15 19/06/2020წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-07 12/04/2021წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-39 16/12/2021წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-31 07/11/2022წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-21 09.06.2023წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-72 16.12.2024წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	24 (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას.

კოლეჯის მისია გულისხმობს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. "საფინანსო სერვისების" პროგრამა პირდაპირ ასახავს ამ მიზანს, რადგან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს დასაქმებას და პროფესიული განვითარების გაგრძელებას. მისია ასევე ხაზს უსვამს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართულობას, რაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობების პრინციპით.

სტრატეგიული მიზანი №2 – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სრულად შეესაბამება "საფინანსო სერვისების" პროგრამის განხორციელებას, რადგან:

- პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევებით.
- კოლეჯს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
- არსებობს მეთოდოლოგია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის, რაც აჩვენებს, რომ პროცესი მოთხოვნებთან შესაბამისი და გამჭვირვალეა.

წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.

პროგრამის მოცულობა, მოდულები და სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით: "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება დასაბუთებულ საჭიროებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება "საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაფუძნებულია მტკიცე დასაბუთებაზე და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარების მიმართულებებს.
კოლეჯის მისიაში გაცხადებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც ეფექტურად უპასუხებენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. "საფინანსო სერვისების" პროგრამა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რადგან იგი ქმნის შესაძლებლობას კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის, რომლებიც შეძლებენ საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებელთა ინფორმირებას.
კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი გულისხმობს– საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ამას კი სრულად შეესაბამება "საფინანსო სერვისების" პროგრამის განხორციელება, რადგან:

- პროგრამის მიზანშეწონილობა დადასტურებულია და ეყრდნობა სხვადასხვა შრომის ბაზრის კვლევებს;
- კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ და ხარისხიან განხორციელებას;
- პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესები მკაფიოდ რეგულირდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და მოთხოვნებთან შესაბამისობას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "საფინანსო სერვისები" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირება", სადაც ასახულია კონკრეტულად რა ასპექტები გაითვალისწინა კოლეჯმა:

- დაწესებულების სამოქმედო არეალში შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების საჭიროება;
- შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით ეროვნული და რეგიონული დონეზე მოთხოვნადი უნარები, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროგრამა;
- კოლეჯის საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
- მით უმეტეს, რომ კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას რამდენიმე წელია წარმატებით ახორციელებს და დაუგროვდა გამოცდილება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მართვაში.

დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩართულ მხარეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის დანერგვა არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ შრომის ბაზრის მოთხოვნებსაც პასუხობს. სასწავლო გეგმის სტრუქტურა, პროგრამის მოცულობა და მოდულები სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკასთან.
აღნიშნულის გათვალისწინებით, "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: "საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება და ასაკი 17 წელი – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს კოლეჯის მიერ ორგანიზებული პროფესიული გასაუბრების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10.(განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63)

დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

"საფინანსო სერვისების" პროგრამისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო:

- ✓ აუდიტორიები აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით;

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "საფინანსო სერვისები" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში 24 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას და არ არის ამ კუთხითაც შეზღუდვა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
"საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე რამდენიმე წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების.

- დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის.
- განმახორციელებელთა და სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი.
- საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას.
- ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება დადგენილია კოლეჯის დებულებით (20/07/2020 წ. ბრძ. №01-27) მუხლი 7. დირექტორი, პუნქტი 7.3.5 "ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს."

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში განვითარების მიზნით შედიოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებები ყოველწლიურად. პროგრამა შემუშავდა და დამტკიცდა დირექტორის ბრძანება № 01-35 20/11/2018წ. შემდეგ სხვადასხვა საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა პერიოდში განხორციელდა 8 ცვლილება. ბოლო ცვლილება პროგრამაში განხორციელდა ბრძანება № 01-72 16.12.2024. სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს.

საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისები" (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე,

რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / BasicVocational Qualification in Finance Services (კვალიფიკაციის კოდი – 0412), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 52 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - 9 სასწავლო თვე), პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 67 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 12 სასწავლო თვე). ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 6 ზოგადი მოდულს 16 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 35 კრედიტის მოცულობით

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ. ; დირექტორის ბრძანება № 01-35 20/11/2018წ. ცვლილება ბრძ. №01-05 12/02/2019წ.განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-06 15/02/2019წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-15 19/06/2020წ.განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-07 12/04/2021წ.განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილება ბრძ. № 01-39 16/12/2021წ.განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-31 07/11/2022წ.განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-21 09.06.2023წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. № 01-72 16.12.2024წ.

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით"- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სტრატეგიული განვითარების გეგმით 2020 -2027 წ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 12/03/2020 წ. ბრძ.# 01-10 შესულია ცვლილება დირექტორის 12/04/2023 წ. ბრძ.# 01-13
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის "საფინანსო სერვისების" 24 პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 24 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს
ხელშეკრულება სს „ბაზის ბანკი" მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი" და , შპს „ბაკურიძე და
კომპანიასთან". წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 24 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ სხავდასხვა მატერიალურ რესურს (ფულის ამომცნობ დეტექტორს, ფულის სათვლელ მანქანას, საინკასაციო ჩანთას, ფულის მულაჟებს, შესაფუთ და დასალუქ საშუალებებს, ბეჭდებს/შტამპებს, და ა.შ.). პრაქტიკის ობიექტზე ბანკში ახდენდნენ სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას,: მომხმარებლის მიღებას/გადამისამართებას; ანგარიშის გახსნას; გზავნილის მიღება/გაცემას; საკრედიტო ოფიცერთან ერთად სესხის შეფასებას და სხვა. სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლის მიღებას; ფასების კონტროლს; კონსულტაციის გაწევა და სხვა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის
დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 22 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 10, ხოლო 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. **ინდიკატორი 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი** კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისების" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 11 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;

"საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ.

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით-დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- ბიბლიოთეკის დებულებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძ № 01-35;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ.;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ№01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ№ 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ№ 01-62;*
- *სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;*
- *გასაუბრებით*
- *კვლევების მეთოდოლოგიით*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო სერვისების " პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით **გონივრული ხანგრძლივობით**.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით **ჩატარდა გასაუბრებები** კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს.

სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია კომპიუტერული პროგრამით (ალტას სატესტო პროგრამა)რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)
-

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებისთვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათით გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.
გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება.
სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინგ-ის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.
შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრებით დადგინდა , რომ კოლეჯს მხოლოდ ერთხელ დაჭირდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როდესაც ერთდროულად გადმოვიდა კოლეჯში გარკვეული სტუდენტების რაოდენობა, ერთ პროგრამაზე. მათთვის შედგა ინდივიდუალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მობილობით მოსარგებლე სტუდენტებმა დაადასტურებს რომ ჩართული იყვნენ თავადაც გეგმის შემუშავების პროცესში. დანარჩენმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.
✓ სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „საწარმოო პრაქტიკა- საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. „საწარმოო პრაქტიკი-საფინანსო სერვისები “ მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდული სს „ბაზის ბანკი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ და , შპს „ბაკურიძე და კომპანიასთან“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად არის შესაძლებელი კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. ბანკსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებში გათვალისწინებულია მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“ (ს/შ 2) და მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (ს/შ 2) გატანა, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელში გატანილია მოდული საკრედიტო პროდუქტების მე-2 შედეგი. შპს „ბაკურიძე და კომპანიასთან“ მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“(ს/შ 2) , მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (ს/შ 1) და მოდული „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლის“ (ს/შ 2,4)გატანა. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისების“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს/განმახორციელებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და მხარდაჭერას. ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში - 24 პროფესიული სტუდენტი).

კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.
აუდიტორიაში გამოკრულია კომპიუტერებთან მუშაობის წესები. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "საფინანსო სერვისები" კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით)
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58;
5. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. № 01-23 08.7.2020წელი
6. კომპიუტერთან მუშაობის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ვიზუალური დათვალიერებით;
8. გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.

1. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპები

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას.
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ.
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.
ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.
პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;
- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან – გაიმართა საუბრები. მათგან შევაგროვეთ ინფორმაცია და აღვნიშნეთ მათი მოსაზრებები მიმდინარე პროცესის შესახებ. ამ პროცესში ასევე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამასთან
- შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და სრულყოფილება.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.

შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს.

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.

შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.

შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.

პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითარებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62.
2. ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
3. გასაუბრებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია(სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში Higher Vocational Qualification in Pharmacy.“
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანება № 01-18, 10/06/2019წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-22 21/06/2019 წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-09 02/03/2020 წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-15 19/06/2020 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-41 29.12.2021წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-31 07.11.2022 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-21 09.06.2023 წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40(კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

VII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ფარმაცია(სააფთიაქო)“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას.
კოლეჯის მისია გულისხმობს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. "ფარმაცია(სააფთიაქო)პროგრამა პირდაპირ ასახავს ამ მიზანს, რადგან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს დასაქმებას და პროფესიული განვითარების გაგრძელებას.
კოლეჯი პროგრამის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაეყრდნო როგორც სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევებს ასევე თავად ჩაატარა მოკვლევა პარტნიორებთან. ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ უკვე წლებია (2004 წლიდან)ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას და მაღალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, ასევე აკადემია მთელი წლის განმავლობაში აკეთებს მომართვიანობის ანალიზს.
კოლეჯს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.
პროგრამის მოცულობა, მოდულები და სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად.
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება "ფარმაცია (სააფთიაქოს)" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაფუძნებულია მტკიცე დასაბუთებაზე და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარების მიმართულებებს.
კოლეჯის მისიაში გაცხადებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც ეფექტურად უპასუხებენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. "ფარმაცია(სააფთიაქოს)" პროგრამა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რადგან იგი ქმნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტულ დაწესებულებებში მომსახურების გაწევასა და მომხმარებელთა ინფორმირებას თუ სხვა პროფესიული საქმიანობის შესრულებას.

კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი გულისხმობს– საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ამას კი სრულად შეესაბამება "ფარმაცია(სააფთიაქო)"პროგრამის განხორციელება, რადგან:

- პროგრამის მიზანშეწონილობა დადასტურებულია და ეყრდნობა სხვადასხვა შრომის ბაზრის კვლევებს;
- კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ და ხარისხიან განხორციელებას;
- პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესები მკაფიოდ რეგულირდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და მოთხოვნებთან შესაბამისობას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "ფარმაცია (სააფთიაქოს)" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირება", სადაც ასახულია კონკრეტულად რა ასპექტები გაითვალისწინა კოლეჯმა:

- დაწესებულების სამოქმედო არეალში შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების საჭიროება;
- შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით ეროვნული და რეგიონული დონეზე მოთხოვნადი უნარები, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროგრამა;
- კოლეჯის საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
- მით უმეტეს, რომ კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "ფარმაცია(სააფთიაქო)" 2004 წლიდან ახორციელებს და დაუგროვდა გამოცდილება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მართვაში.

დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩართულ მხარეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის დანერგვა არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ შრომის ბაზრის მოთხოვნებსაც პასუხობს. სასწავლო გეგმის სტრუქტურა, პროგრამის მოცულობა და მოდულები სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკასთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, "ფარმაცია(სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამაზე "ფარმაცია (სააფთიაქო)" დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება – სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10.(განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63)

დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

“ფარმაცია(სააფთიაქო)” პროგრამისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო:

- ✓ აუდიტორიები აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით(ორ ცვლაში/ან ორ წელზე 40 სტუდენტი)

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე “ფარმაცია(სააფთიაქო)” მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას და არ არის ამ კუთხითაც შეზღუდვა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

"ფარმაცია(სააფთიაქოს)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე 20 წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების.

- დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის.
- განმახორციელებელთა და სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი.
- საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას.
- ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)" მოიცავს ერთ არჩევით მოდულს „ მზა სამკურნალწამლო ფორმები", რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება დადგენილია კოლეჯის დებულებით (20/07/2020 წ. ბრძ. №01-27) მუხლი 7. დირექტორი, პუნქტი 7.3.5 "ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს."

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
5. ჩაატაროს საფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
8. გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო
ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში განვითარების მიზნით შედიოდა ცვლილებები ყოველწლიურად. პროგრამა დამტკიცდა დირექტორის ბრძანება № 01-18, 10/06/2019წ . შემდეგ სხვადასხვა საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა პერიოდში განხორციელდა 7 ცვლილება. ბოლო ცვლილება პროგრამაში განხორციელდა ბრძანება №01-72 16.12.2024 წ. სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy დამტკიცების/ცვლილების თარიღი: 22.02.2019; 16.04.2019; 19.02.2020; 19.04.2021; 25.06.2021; 29.10.2021; 13.12.20) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე,

რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები,

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში Higher Vocational Qualification in Pharmacy.“ (კვალიფიკაციის კოდი – 0916), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას, ინფორმაციას განმახორციელებელი პირებისა და მატერიალური რესურსის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 123 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 82 სასწავლო კვირა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 153 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 102 სასწავლო კვირა

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება ბრძანება № 01-18, 10/06/2019წ

განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-22 21/06/2019 წ
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-09 02/03/2020 წ
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-15 19/06/2020 წ.
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-41 29.12.2021წ.
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-31 07.11.2022 წ.
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-21 09.06.2023 წ.
განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024 წ.

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით"- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სტრატეგიული განვითარების გეგმით 2020 -2027 წ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 12/03/2020 წ. ბრძ.# 01-10 შესულია ცვლილება დირექტორის 12/04/2023 წ. ბრძ.# 01-13
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A(აუდიტ.17), AC (აუდიტ.15 და 18)და B გარემოები(ორი გარემო). A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის "ფარმაცია(სააფთიაქოს)" 20 პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი
სასწავლო გარემოს მოდელი AC გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. გარემოში განთავსებულია: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა მასალის, ზომის და ფერის), გამშ რალი სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ჰერბარიუმები, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტების ცხრილები, სინჯარები, მინის წკირები, სასაგნე მინები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50.100,500მლ.), მინის კოლბები, სხვადასხვა ზომის შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, შტატივები, როდინები სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, რეფრაქტომეტრი, რეაქტივები, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, მაგიდები და კამები სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის, დაფა და სხვა.
სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო , რომელშიც განთავსებულია 21 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძ№01-60 დამტკიცებულია ,,კოოპერაციული სწავლებისას მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შევიდა ცვლილებები პარტნიორებთან არსებულ ხელშეკრულებებში. და ახალი ხელშეკრულებებიც შესაბამისად გაფორმდა 416-ე დადგენილების შესაბამისად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 24 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 18 განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. **ინდიკატორი 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი** : კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელი, დანიშნულია ბრძანებით (ბრძ. 02-14. 16.დეკემბერი 2024) და მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება , დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ინტერვიუირების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს, და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, მონაწილეობს კალენდარული გეგმების მომზადების, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა- განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკმაციის პროცესებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცია(სააფთიაქოს)" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.

ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 11 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- "ფარმაცია(სააფთიაქოს)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-18, 10/06/2019წ

პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით-დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის

ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;

- ბიბლიოთეკის დებულებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძ № 01-35;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის გრძ N 01-51 17.10.2024წ.;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ№01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ№ 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ№ 01-62;*
- *სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;*
- *გასაუბრებით*
- *კვლევების მეთოდოლოგიით*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანება № 01-18, 10/06/2019წ (ბოლო ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024 წ. ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცია(სააფთიაქოს)" პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით **გონივრული ხანგრძლივობით**.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით **ჩატარდა გასაუბრებები** კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს.
სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია კომპიუტერული პროგრამით (ალტას სატესტო პროგრამა)რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 3) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)
-

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებისთვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათით გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.
გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება.
სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინგ-ის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.
შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

- გასაუბრებით დადგინდა , რომ კოლეჯს მხოლოდ ერთხელ დაჭირდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როდესაც ერთდროულად გადმოვიდა კოლეჯში გარკვეული სტუდენტების რაოდენობა, ერთ პროგრამაზე. მათთვის შედგა ინდივიდუალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მობილობით მოსარგებლე სტუდენტებმა დაადასტურებს, რომ ჩართული იყვნენ თავადაც გეგმის შემუშავების პროცესში. დანარჩენმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.
✓ სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია(სააფთიაქო)“ განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, სამ ფარმაცევტულ დაწესებულებასთან „ბაკურიძე და კომპანია „ს/კ: 245424303 (ხელშეკრულება 03-29 05 დეკემბერი 2024 წ.) 40 პროფესიულ სტუდენტზე ; შპს “ჰეკატე“ 03-14 (12 ფილიალი) ს/კ: 245436096 (ხელშეკრულება 03-27 04 დეკემბერი 2024 წ) 40 პროფესიულ სტუდენტზე; შპს „ავერსი–ფარმა“ ს/კ: 211386695 (ხელშეკრულება)N03-28 04 დეკემბერი 2024 წ.) 40 პროფესიულ სტუდენტზე, რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, ასევე, მათში მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ადასტურებს, რომ საერთო ჯამში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილი ა20-20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლა:

ა)მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

ბ)მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

გ)მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებების შერჩევა;

დ) მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/ საშუალებების შერჩევა;

ე) მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

ვ) პროდუქციის მიღება -განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

ზ) ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები;

თ) მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება.

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის

დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 40 პროფესიული სტუდენტისთვის თითო ჯგუფში 20-20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.
აუდიტორიაში გამოკრულია კომპიუტერებთან მუშაობის წესები. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "საფინანსო სერვისები" კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. № 01-23 08.7.2020წელი
- კომპიუტერთან მუშაობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.

1. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპები

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას.
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ.
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.
ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.
პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;
- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან – გაიმართა საუბრები. მათგან შევაგროვეთ ინფორმაცია და აღნიშნეთ მათი მოსაზრებები მიმდინარე პროცესის შესახებ. ამ პროცესში ასევე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამასთან
- შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და სრულყოფილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.
ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.
ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:
შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.
შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს.

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას.

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.
შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.
შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.
პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითარებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

VIII. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანება № 01-18 10/06/2019წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-12 01/06/2020წ. განხორციელდა ცვლილება ბრძანება №01-31 07.11.2022 წ განხორციელდა ცვლილება ბრძანება №01-21 09.06.2023წ განხორციელდა ცვლილება ბრძანება № 01-72 16.12.2024 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

IX. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

.....

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: პსდ-ს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას.
კოლეჯის მისია გულისხმობს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. „აღმზრდელის“ პროგრამა პირდაპირ ასახავს ამ მიზანს, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრის მომზადებას, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და ჰოლისტურ განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელის მიერ უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს უზრუნველყოფა და სააღმზრდელო პროცესში ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციას და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.
შესაბამისად ასეთი სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს დასაქმებას და პროფესიული განვითარების გაგრძელებას.
სტრატეგიული მიზანი №2 – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სრულად შეესაბამება ,,აღმზრდელის“ პროგრამის განხორციელებას, რადგან:

- პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევებით.
- კოლეჯს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
- არსებობს მეთოდოლოგია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის, რაც აჩვენებს, რომ პროცესი მოთხოვნებთან შესაბამისი და გამჭვირვალეა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაფუძნებული დასაბუთება, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კოლეჯის პრიორიტეტებს, არამედ რეგიონულ და ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.
პროგრამის მოცულობა, მოდულები და სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად.
აღნიშნულის გათვალისწინებით: ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება დასაბუთებულ საჭიროებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: "აღმზრდელის" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. N01-10.(განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. N 01-63)
დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმზრდელის პროგრამისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო:

- ✓ აუდიტორიები აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით;

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "აღმზრდელი" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 50 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაც გულისხმობს ერთი ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლაში 40 სტუდენტი) ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე რამდენიმე წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების.

- დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის.
- განმახორციელებელთა და სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი.
- საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "აღმზრდელი" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

8. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება დადგენილია კოლეჯის დებულებით (20/07/2020 წ. ბრძ. №01-27) მუხლი 7. დირექტორი, პუნქტი 7.3.5 "ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს."

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

ა)ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვას და მართვას;

გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენებას;

დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში განვითარების მიზნით შედიოდა ცვლილებები ყოველწლიურად. ბოლო ცვლილება პროგრამაში განხორციელდა ბრძანება № 01-72 16.12.2024. სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);

პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება № 01-18 10/06/2019წ ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-12 01/06/2020წ.; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-31 07.11.2022 წ ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-21 09.06.2023წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024წ “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით”-დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. N01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. N01-63;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სტრატეგიული განვითარების გეგმით 2020 -2027 წ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 12/03/2020 წ. ბრძ.# 01-10 შესულია ცვლილება დირექტორის 12/04/2023 წ. ბრძ.# 01-13
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები. A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის ,,აღმზრდელი" 2 (ორ ცვლაში 40) პროფესიული სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 2 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) (ორ ცვლაში 40) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს.
თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა 40, პარტნიორი ორგანიზაციასთან (ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება) გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია აღნიშნული კვოტა 40 სტუდენტი ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა აღნიშნულ მოცემულობას.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებში მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს.
შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 20 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 17, ხოლო 3 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორის 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დაესწრო მოდულის ,,დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ ლექციის მიმდინარეობის პროცესს, სადაც გამოვლინდა განმახორციელებელი მასწავლებლის კომპეტენტურობა, კერძოდ სწავლების მიზნების მკაფიო განსაზღვრა, პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისი მაგალითების წარდგენა, თანამედროვე ტენდენციების ცოდნა და მათი გამოყენება ლექციის დროს, ზუსტი, გასაგები და პროფესიული ენით საუბარი, თვალსაჩინო იყო სტუდენტების დაინტერესება და აქტიურობა, ჯგუფური მუშაობა და უკუკავშირი. პროცესი ასახავდა სისტემატიური მუშაობის შედეგს. **ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი** კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5.**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.
კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 10 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;

"აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-18 10/06/2019წ.

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით-დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. N01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. N01-63;
- ბიბლიოთეკის დებულებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძ № 01-35;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ.;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ№01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ№ 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ№ 01-62;*
- *სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;*
- *გასაუბრებით*
- *კვლევების მეთოდოლოგიით*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის № 01-18 10/06/2019წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის" პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით **გონივრული ხანგრძლივობით**.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით **ჩატარდა გასაუბრებები** კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმების შემუშავების საკითხიც.

გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.
კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.
სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლებას თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.
კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებისთვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათით გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.
გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისი კორექტირება.
სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინგ-ის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.
შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

- გასაუბრებით დადგინდა , რომ კოლეჯს მხოლოდ ერთხელ დაჭირდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როდესაც ერთდროულად გადმოვიდა კოლეჯში გარკვეული სტუდენტების რაოდენობა, ერთ პროგრამაზე. მათთვის შედგა ინდივიდუალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მობილობით მოსარგებლე სტუდენტებმა დაადასტურებს რომ ჩართული იყვნენ თავადაც გეგმის შემუშავების პროცესში. დანარჩენმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.
✓ სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება 2024 წლის 04 დეკემბერს გაფორმებული N03–26 ხელშეკრულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულების განხორციელების შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ერთ პარტნიორ ორგანიზაციასთან – „ააიპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“. რომლის მეშვეობითაც, პარტნიორი ორგანიზაციის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღები) ბაზაზე განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული მოდული ,,პრაქტიკული პროექტი– სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და მოდულის ,,დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ II,III,IV შედეგი. ,პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ერთ მიღებაზე არაუმეტეს 40 სტუდენტისა;
ექსპერტებმა შეისწავლეს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისობაში იყო 416-ე დადგენილების მოთხოვნებთან, მოიცავდა შემდეგ დანართებს
დანართი N 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 2 - საგანმანათლებლო პროგრამის აღმზრდელი დანართი N 1 მითითებული მოდულ(ებ)ის სწავლების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები-მოვალეობა, უფლება
დანართი N3 -საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში საჭირო რესურსების ჩამონათვალი
დანართი N 4 სასწავლო გეგმა
დანართი N 5 - ინფორმაცია შეფასების შესახებ ამონარიდი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიდან.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ა(ა)იპ ,,ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულის ქ. ბათუმის N35 საბავშვო ბაღის ბაზაზე, სადაც დაწესებულების ინფრასტრუქტურა, შექმნილი სააღმზრდელო–საგანმანათლებლო გარემო, სტუდენტებისათვის თეორიული მასალის გაზიარებისთვის განკუთვნილი სივრცე, ადრეულ და სკოლამდელ აღზრდაში არსებული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა და რაოდენობა, სასწავლო–საგანმანათლებლო რესურსის და კვალიფიციური კადრის არსებობა დადასტურებულად იძლევა კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობის და მოდულების ,,პრაქტიკული პროექტი– სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და მოდულის ,,დაკვირვება და შეფასება – სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ II,III,IV შედეგების პროფესიონალურ დონეზე სწავლების საშუალებას.

კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, მათ უკვე რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა აქვთ და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დამუშავებულია, რაც უზრუნველყოფს წარმატებულ თანამშრომლობას. პარტნიორმა ისაუბრა ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და ასევე აღნიშნა რომ უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ვინაიდან პარტნიორი ორგანიზაცია წარმოადგენს გაერთიანებას, მან ზუსტად იცის ამ პროგრამის მნიშვნელობა რეგიონისათვის.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.
აუდიტორიაში გამოკრულია კომპიუტერებთან მუშაობის წესები. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ კოლეჯის დირექტორის № 01-18 10/06/2019წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. № 01-23 08.7.2020წელი
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული N03–26 ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულების განხორციელების შესახებ (04.12.2024 წ.)
- კომპიუტერთან მუშაობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.

1. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპები

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას.
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ.
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული.ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.
ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.
პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;
- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან – გაიმართა საუბრები. მათგან შევაგროვეთ ინფორმაცია და აღვნიშნეთ მათი მოსაზრებები მიმდინარე პროცესის შესახებ. ამ პროცესში ასევე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამასთან
- შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და სრულყოფილება.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.
შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს.

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას.

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.
შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.
შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.
პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითარებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის ბრძანება № 01-18 10/06/2019წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	განხორციელდა ცვლილებები ბრძ. №01-22 21/06/2019წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-09 02/03/2020წ. განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-08 12/04/2021წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-40 29.12/2021წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-31 07.11.2022წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-21 09.06.2023წ განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ალ გრიბოედოვის 67
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60 (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საექთო განათლება“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს "საექთნო განათლების "საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება აკადემიის მიერ ჩამოყალიბებულ მისიას. შესაბამისობა ჩანს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მრავალპროფილური საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება. მისიაში აღნიშნულია, რომ აკადემია მრავალპროფილურ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. საექთნო განათლება ერთ-ერთი მათგანია და წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროფესიას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, სადაც სახელმწიფოსა და კერძო კლინიკების თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. "საექთნო განათლების" პროგრამის განხორციელება ეფუძნება ამ პრინციპს, რადგან სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ექთნის პროფესია მოითხოვს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. აკადემიის მისია განათლების მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღების შესაძლებლობას გულისხმობს, რაც სრულად შეესაბამება "საექთნო განათლების" დინამიკას – ექთნებს მუდმივად სჭირდებათ გადამზადება, ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწავლა.

მისიაში ასევე ნათქვამია, რომ აკადემია ზრუნავს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებასა და გადამზადებაზე, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. "საექთნო განათლების" პროგრამა მოიცავს იმ პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს, რომლებიც ექთნების დასაქმებას უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საექთნო პროფესია გლობალურად მოთხოვნადია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების პერსპექტივა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აკადემიის მისია განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარებს."საექთნო განათლების" პროგრამა სწორედ ამ პრინციპს ემყარება, რადგან სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს კლინიკურ პრაქტიკას, რაც სტუდენტებს ეხმარება ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში გამოყენებაში.

შესაბამისად, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს "საექთნო განათლების" საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება აკადემიის მისიას.

ის მრავალპროფილური განათლების ნაწილია და აკმაყოფილებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კადრების მომზადებას. სწავლების პროცესში სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც სრულად შეესაბამება მისიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს. აქედან გამომდინარე, აკადემიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება "საექთნო განათლების" პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია და ემყარება მისიას.

აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტია. მისი მიღწევა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა
2. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
3. პროგრამების საერთაშორისო შესაბამისობა და სხვა

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევა გულისხმობს პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ინკლუზიურობის გაძლიერებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ამ მიდგომით, აკადემია უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიწოდებას და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიულ წარმატებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია 27.02.2020 წლის N 01-04/28 (ცვლილება: 16.06.2020 წლის N 01-04/83) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით", რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას (ცვლილება 26.09.2019 N203/ნ).

"საექთნო განათლების" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა– სრული ზოგადი განათლება – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10.(განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63) დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

"საექთნო განათლების" პროგრამისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო:

- ✓ **აუდიტორიები აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით;**

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "საექთნო განათლება" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას და არ არის ამ კუთხითაც შეზღუდვა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

“საექთნო განათლების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე, აღსანიშნავია რომ კოლეჯი ამ პროგრამას უკვე რამდენიმე წელია, რაც ახორციელებს და შეიძლება ითქვას უკვე აქვს გამოცდილება პროგრამაზე რესურსების განსაზღვრისა და გამოყენების.

- დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის.
- განმახორციელებელთა და სტუდენტთა შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი.

საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას.

მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (https://kpc.ge/library.html) თავისუფალი წვდომის რეჟიმში. მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებისათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საექთნო განათლება” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

9. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება დადგენილია კოლეჯის დებულებით (20/07/2020 წ. ბრძ. №01-27) მუხლი 7. დირექტორი, პუნქტი 7.3.5 "ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს ან ცვლილებებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, ამტკიცებს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებს ან ახორციელებს ცვლილებებს მათში, ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამებს და მათ ცვლილებებს."

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: **პროგრამის მიზანი** არის **კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება**, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში განვითარების მიზნით შედიოდა ცვლილებები ყოველწლიურად. პროგრამა შემუშავდა და დამტკიცდა დირექტორის ბრძანება 01-18 10/06/2019 შემდეგ სხვადასხვა საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა პერიოდში განხორციელდა 7 ცვლილება. ბოლო ცვლილება პროგრამაში განხორციელდა ბრძანება № 01-72 16.12.2024. სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს.

პროგრამა შემუშავებულია 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2018 N407/ი ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება 2021 წლის 11 თებერვლის N93013) ჩარჩო დოკუმენტს - ,,საექთნო განათლება“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 210 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ. ; დირექტორის ბრძანება № 01-18 10/06/2019წ; განხორციელდა ცვლილებები ბრძანება №01-22 21/06/2019წ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-09 02/03/2020წ.; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-08 12/04/2021წ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-40 29.12/2021წ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-31 07.11.2022წ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-21 09.06.2023წ; განხორციელდა ცვლილება ბრძ. №01-72 16.12.2024წ
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით”- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. №01-27 20/07/2020 წ.
- მატერიალური რესურსების მართვის წესით- დამტკიცებული დირექტორის ბრძ.#01-53 24.10.2024წ;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA სტრატეგიული განვითარების გეგმით 2020 -2027 წ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 12/03/2020 წ. ბრძ.# 01-10 შესულია ცვლილება დირექტორის 12/04/2023 წ. ბრძ.# 01-13
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ალ გრიბოედოვის 67 . პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი.
ორი A გარემო აღჭურვილი 20 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით, ორი B გარემო და ერთი C გარემო 20 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილი გარემო. საექთნო განათლების კლინიკური მოდულები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 60 პროფესიული სტუდენტი (ერთი სასწავლო წლისათვის ერთი ჯგუფი 20 სტუდენტი). ანუ პირველი სასწავლო და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები ცვლებში, ხოლო მესამე სასწავლო წელი სრულად გადის პრაქტიკის ობიექტებზე.
ყველა გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 20 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის ბრძ№01-60 დამტკიცებულია ,,კოოპერაციული სწავლებისას მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად შევიდა ცვლილებები პარტნიორებთან არსებულ ხელშეკრულებებში. და ახალი ხელშეკრულებებიც გაფორმდა 416-ე დადგენილების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ლიცენზიების მქონე კლინიკებთან. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 60 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურს პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით **ინდიკატორის 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 40 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 34, ხოლო 6 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორის 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი** კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. **ინდიკატორის 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლების" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- ფერად პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს.
დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება);
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. კოლეჯის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში;
- ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია;
- საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 11 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;

"საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 01-35 20.11. 2018 წ.

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით-დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით - დამტკიცდა დირექტორის 14.03.2019 წლის ბრძ. #01-10. განხორციელდა ცვლილება დირექტორის 21.11.2024 ბრძ. # 01-63;
- ბიბლიოთეკის დებულებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძ № 01-35;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს** მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია" შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით- დამტკიცებულია დირექტორის ბრძ N 01-51 17.10.2024წ.;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ№01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ№ 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ№ 01-62;*
- *სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;*
- *გასაუბრებით*
- *კვლევების მეთოდოლოგიით*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლების" პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით **გონივრული ხანგრძლივობით**.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.

შედგა გასაუბრება დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან, მათ გამოხატეს დიდი კმაყოფილება ცოდნის მიღებაზე, პრაქტიკულ/თეორიულ საკითხებზე, ამაყობდნენ რომ სწორად შეარჩიეს სასწავლებელი და სხვებსაც უწევენ რეკომენდაციას რომ აღნიშნულ სასწავლებელში აირჩიონ საჭირო პროფესია „საექთნო განათლება" და დასაქმდნენ.

განხორციელდა ვიზიტი ქ. ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში, სადაც პროგრამის ხელმძღვანელია დასაქმებული მთავარ მედდად; პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, გავეცანით კლინიკაში მიმდინარე პროცესებს; კერძოდ მიმდინარეობს შიდა სივრცის, ტრეინინგ/ოთახების სარემონტო სამუშაოები ,ასეთი ოთახი არის 3. კლინიკის მთავარი მედდა არის თან ტრენერი, გამოცდილი კადრი 30 წლის სამუშაო გამოცდილებით, 20 წელია პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობს, უყვარს თავის პროფესია და ზრუნავს სტუდენტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმების კუთხით,ასევე მან აღნიშნა აჭარის რეგიონში ყველა სამედიცინო კოლეჯთან აქვს შეხება და გამოყოფს შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA, როგორც საუკეთესო სასწავლებელს, რადგან პრაქტიკის პერიოდში თეორიულად ყველაზე მოწესრიგებულ სტუდენტებს გზავნიან მათთან კლინიკის ბაზაზე.
პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას
ასევე განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტებთან. მათ გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.
გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.
ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ:კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს.
სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია კომპიუტერული პროგრამით (ალტას სატესტო პროგრამა)რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში(კერძოდ ამ წესის მუხლი 14 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა). რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- ბ) პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- დ) სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- ე) პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- ვ) სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის სპეციალისტი
- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)
-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებისთვის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათით გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს კოლეჯის შიდა რეგულაციებს და კანონმდებლობას.
გეგმის შემუშავების შემდეგ, განხორციელების პროცესში რეგულარულად ხდება სტუდენტის პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება.
სპეციალისტების მონაწილეობით ხდება ინგ-ის ეფექტურობის ანალიზი და სწავლების პროცესის შემდგომი ადაპტაცია.
შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

- გასაუბრებით დადგინდა , რომ კოლეჯს მხოლოდ ერთხელ დაჭირდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, როდესაც ერთდროულად გადმოვიდა კოლეჯში გარკვეული სტუდენტების რაოდენობა, ერთ პროგრამაზე. მათთვის შედგა ინდივიდუალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მობილობით მოსარგებლე სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ჩართული იყვნენ თავადაც გეგმის შემუშავების პროცესში. დანარჩენმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.
✓ სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან:
1) შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი BMC ს/კ:248384234 -60 პროფ. სტუდენტზე
2) სს ,,ვიანი" მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშთა ცენტრალური ჰოსპიტალი ს/კ 402295716-60 პროფ. სტუდენტზე
3) შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" ს/კ: 245435514 -60 პროფ. სტუდენტზე
4) შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი ს/კ: 445466870- 60 პროფ. სტუდენტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს შედეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება მოვალეობები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების წესი, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 თანახმად. მათ ახლავს შემდეგი დანართები:
დანართი N 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება
დანართი 2 - საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განთლების“ დანართი N 1 მითითებული მოდულ(ებ)ის სწავლების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები-მოვალეობა, უფლება
დანართი N3 -საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში საჭირო რესურსების ჩამონათვალი
დანართი N 4 სასწავლო გეგმა
დანართი N 5 - ინფორმაცია შეფასების შესახებ ამონარიდი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიდან.

თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს/განმახორციელებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და მხარდაჭერას. ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ „საექთნო განათლების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში - 20 პროფესიული სტუდენტი, პროგრამაზე 60 სტუდენტი).

კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.
ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის პროცედურებს.
კოლეჯში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

სასწავლო გარემო აღჭურვილია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მ.შ. „საექთნო განათლება“) ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და რომლის გაცნობასაც პროფესიული სტუდენტები აფიქსირებენ ხელის მოწერით.
პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თან განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “საექთნო განათლება” კოლეჯის დირექტორის № 01-35 20.11. 2018 წ. ბრძანებით

დამტკიცებული (ბოლო ცვლილება № 01-72 16.12.2024 ბრძანებით)

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით - დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძ № 01-51;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმით - დამტკიცდა დირექტორის 15.11.2024 წ. ბრძ.# 01-58;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. № 01-23 08.7.2020წელი
- კომპიუტერთან მუშაობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას.

1. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპები

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას.
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ.
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს.

კოლეჯში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;
- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესისას ჩართულ მხარეებთან – პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან – გაიმართა საუბრები. მათგან შევაგროვეთ ინფორმაცია და აღვნიშნეთ მათი მოსაზრებები მიმდინარე პროცესის შესახებ. ამ პროცესში ასევე განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამასთან
- შეფასების კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა;
- შიდა პროცესების სანდოობა და სრულყოფილება.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.
ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.
ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:
შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.
შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს.

დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას.

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.
შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.
პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითარებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია დირექტორის ბრძ №01-13 17.04.2019 განხ. ცვლილება ბრძ № 01-47 30.10.2023 განხ. ცვლილება დირექტორის 19.11.2024 ბრძ № 01-62.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
- გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02.05.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: